ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2018 წელი, 30 აპრილი, №7 (6468)

ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 40 თეთრი

ტრადიციული სახალხო დღესასწაულები, ამიერიდან, უფრო ცივილურ გარემოში გაიმართება

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფლებში ოდითგანვე იმართებოდა სახალხო დღესასწაულები, რომლებიც წმინდანებისა და სალოცავების სახელთანაა დაკავშირებული. კომუნისტური იდეოლოგია ეწინააღმდეგებოდა დღესასწაულების ჩატარების ცერემონიებს, მაგრამ ხალხის მიერ მაინც აღინიშნებოდა ნინოობა, თევდორობა, სამებობა, ყველაწმინდობა, კვირაცხოვლობა, ბარბარობა, 20 მაისობა, კოხიაობა და მარიამობა.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში კი დღესასწაულებისადმი ინტერესი მინელდა და მხოლოდ მოვაჭრეთა და ბავშვთა გასართობ დღეობად იქცა.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დღესასწაულების ძველებურ მასშტაბებში აღდგენის საკითხს და დაავალა შესაბამის სამსახურებს განეხორციელებინათ ღონისძიებები მოვაჭრეთა ფარდულების ცივილურ კონსტრუქციებში მოსათავსებლად, საზეიმო კონცერტების გამართვისა და დღესასწაულების ჩატარების ადგილების წესრიგში მოსაყვანად.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სოფლებში – გავაზსა და ჭიკაანში დღესასწაულები იმართებოდა სასაფლაოებზე და მეორე დღეს იქაურობა სანაგვედ იყო ქცეული. ბატონმა როსტომ სესიაშვილმა ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ დღესასწაულები უფრო ადეკვატურ გარემოში ჩატარებულიყო. შეირჩა და გასუფთავდა დღეობებისთვის განკუთვნილი ფართობები, აღიჭურვა და კეთილმოეწყო სპეციალური სადღესასწაულო ინვენტარით. ორივე სოფელში დღესასწაულები გრანდიოზულად ჩატარდა, მოსახლეობაც და სტუმრებიც კმაყოფილნი დარჩნენ.

რასაკვირველია, დღესასწაულების დამამშვენებელი სანახაობა – ქართული ჭიდაობაა,რაც ასეთი მასშტაბებით დიდი ხანია არ ჩატარებულა. მასში მონაწილეობა მიიღეს კახეთის მუნიციპალიტეტების – გორის, მცხეთის, სამცხე-ჯავახეთის, თიანეთის საუკეთესო ფალავნებმა. წლევანდელი ასპარეზობა ჯილდოების სიუხვითაც გამოირჩეოდა.

გავაზის „ყველაწმინდობის“ დღესასწაულზე გამართულ ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს შემდეგმა მოჭიდავეებმა:

55 კგ. წონით კატეგორიაში
1. ბერბერაშვილი ლევანი – თიანეთი
2. გოდერძიშვილი დავითი – მცხეთა
3. ბახბახიშვილი დავითი – თელავი.

60 კგ. წონით კატეგორიაში
1. გაგნიძე კახა – ყვარელი
2. კუპატაძე ირაკლი – საგარეჯო
3. ბასილაშვილი ნიკა – საგარეჯო

66 კგ. წონით კატეგორიაში
1. ბაღოშვილი გიორგი – ყვარელი
2. ჩიტაური თენგიზი – თიანეთი
3. ებელაშვილი ლევანი – ახმეტა.

73 კგ. წონით კატეგორიაში
1. დიდებაშვილი გიორგი – დედოფლისწყარო
2. ბახბახაშვილი მიხეილი – თელავი
3. ცერცვაძე ვალერი – ყვარელი.

81 კგ. წონით კატეგორიაში
1. მჭედლიშვილი კობა – საგარეჯო
2. წიკლაური ზაქრო – საგარეჯო
3. გივიშვილი გიორგი – ყვარელი.

90 კგ. წონით კატეგორიაში
1. პაპუნაშვილი გიორგი – გორი
2. გულიაშვილი გიორგი – ყვარელი
3. გოგოტაძე იმედა – ლაგოდეხი

აბსოლუტურ წონით კატეგორიებში გამარჯვებულები გახდნენ:
1. ბულაძე ონისე – საჩხერე
2. ბერძენიშვილი ბექა – სამცხე-ჯავახეთი
3. კობაიძე გიორგი – დედოფლისწყარო.

ახალსოფლის „სამებობის“ დღესასწაულზე გამართულ ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს და შესაბამისად I, II და III ადგილები დაიკავეს:

55 კგ. წონით კატეგორაში
1. ბახბახაშვილი დავითი – თელავი
2. მულაძე დიმიტრი – ხაშური
3. თურქაძე რომანი – ყვარელი.

60 კგ. წონით კატეგორიაში
1. გაგნიძე კახა – ყვარელი
2. ბასილაშვილი ნიკა – საგარეჯო
3. კუპატაძე ირაკლი – გორი

66 კგ. წონით კატეგორიაში
1. ჭიკაიძე ნიკა – ახმეტა
2. ბაღოშვილი გიორგი – ყვარელი
3. ებელაშვილი ლევანი – ახმეტა.

73 კგ. წონით კატეგორიაში
1. ბახბახაშვილი მიხეილი – თელავი
2. დიდებაშვილი გიორგი – დედოფლისწყარო
3. ჩიხელიძე გიორგი –

81 კგ. წონით კატეგორიაში
1. კოჭლამაზაშვილი ნიკა – ყვარელი
2. ტატულიშვილი ტატი –
3. კოპაძე დავითი –

90 კგ. წონით კატეგორიაში
1. ბერძენიშვილი ბექა – ახალციხე
2. გულიაშვილი გიორგი – ყვარელი
3. ბულაძე ონისე – საჩხერე.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე

№3 ბაგა-ბაღში საინტერესო ღონისძიება გაიმართა

24 აპრილს, ქ. ყვარლის №3-ე ბაგა-ბაღში გაიმართა ღონისძიება, სადაც ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ სესიაშვილი ყვარლის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ხელმძღვანელთან და სხვა წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

ბაგა-ბაღის კოორდინატორის ნონა დავითაშვილის ხელმძღვანელობით აღსაზრდელებმა წარმოგვიდგინეს მუსიკალური ნომრები, მთელი წლის შემაჯამებელი აქტივობები და შემეცნებითი თამაშები. ვიქტორინაში გამოავლინეს განვლილი პროგრამული მასალის ცოდნა. დასმულ კითხვებზე პასუხებში ბავშვები ერთმანეთს ეცილებოდნენ, განსაკუთრებით აქტიურობდნენ მუსიკალურ და სახალისო ნომრებში.

როსტომ სესიაშვილმა ბავშვებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია 2018 წელს მოხდება.

ღონისძიების დასასრულს მონაწილეებს სიგელები გადაეცათ.

მიღწეული წარმატებები სწორად დაგეგმილი სასწავლო-საწვრთნო პროცესისა და მწვრთნელთა დაუღალავი შრომის შედეგია

დღევანდელი ყოფა-ცხოვრება წარმოუდგენელია სპორტის გარეშე. სპორტი აახალგაზრდავებს, აჯანსაღებს სხეულს და მრავალწლიანი სიცოცხლის გარანტიასაც აძლევს ადამიანს. ამიტომაა, რომ დღეს არა მარტო ახალგაზრდები, არამედ ძველი თაობის წარმომადგენლებიც კი სპორტის მრავალ სახეობებში არიან ჩართულნი. სახელმწიფოს ხელშეწყობით შენდება და მშვენდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები. წლებია ჩვენი რაიონის სასპორტო სკოლა მომავალი თაობების აღზრდის სამსახურშია და მათი პედაგოგების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებებსაც აღწევენ.

2016 წლიდან მოყოლებული სასპორტო სკოლის აღსაზრდელებმა მრავალი გამარჯვება იზეიმეს. წარმატებებს იმკიან სპორტში. დავიწყოთ ზურაბ იაკობიშვილით – 2016 წლის იანვარში გახდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული; ამავე წლის თებერვალში ბელორუსიის დედაქალაქში მედვედევის სახელობის ტრადიციულ ტურნირზე თავისუფალ ჭიდაობაში დაამარცხა რუსეთის წარმომადგენელი იტინოვი, მეორე შეხვედრა მოიგო ტლაშაძესთან (ქ. გორი), მესამე შეხვედრა მოუგო ამერიკელ არონ პიკოს, ხოლო მეოთხე შეხვედრა მოუგო ისევ რუსეთის წარმომადგენელს – მასხადოვს და გახდა საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

2016 წლის 23-26 აპრილს მონღოლეთის ქალაქ ულანბატორში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ჭიკაანის „კვირაცხოვლობის“ დღესასწაულზე ქართულ ჭიდაობაში გაიმარჯვეს და I, II და III ადგილები დაიკავეს:

55 კგ. წონით კატეგორიაში

1. ბერბერაშვილი ლევანი – თიანეთი
2. ჭუმბურიძე კობა – ლაგოდეხი
3. ბლუიშვილი კახა – თელავი.

60 კგ. წონით კატეგორიაში

1. კუპატაძე ირაკლი – საგარეჯო
2. ქურხული ნოდარი – საგარეჯო
3. კურტანიძე ალეკო – ყვარელი.

66 კგ. წონით კატეგორიაში

1. ჭიკაიძე ნიკა – ახმეტა
2. ბაღოშვილი გიორგი – ყვარელი
3. კორაშვილი გიორგი – ახმეტა.

73 კგ. წონით კატეგორიაში

1. დიდებაშვილი გიორგი – დედოფლისწყარო

ტრადიციული სახალხო დღესასწაულები, ამიერიდან, უფრო ცივილურ გარემოში გაიმართება

2. ძინიყაშვილი გიორგი – ყვარელი
3. გოგიჩაშვილი გიორგი – ლაგოდეხი.

81 კგ. წონით კატეგორიაში

1. მჭედლიშვილი კობა – საგარეჯო
2. მახარაშვილი გიორგი – მცხეთა
3. ნანიევი ალიკა – ლაგოდეხი.

90 კგ. წონით კატეგორიაში

1. ზურაბიანი ფიდო – მცხეთა
2. პაპუნიშვილი გიორგი – გორი
3. დიასამიძე ნიაზი – ახალციხე.

აბსოლუტურ მძიმე კატეგორიაში:

1. ბერძენიშვილი ბექა – ახალციხე
2. კობაიძე გიორგი – მანგლისი
3. წყალობაშვილი ბექა – ყვარელი.

წონითი კატეგორიების მიხედვით, გამარჯვებულებს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა ფულადი ჯილდოები: პირველ ადგილზე გასულებს 300 ლარი, მეორეზე – 200 ლარი და მესამეზე – 100 ლარი.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში პირველ ადგილზე გასული მერიამ დააჯილდოვა 700 ლარით, მეორეზე – 400 ლარით და მესამეზე – 300 ლარით.

ბიზნესმენმა დავით ხახუტაშვილმა „სამების“ დღესასწაულზე წონით კატეგორიებში გამარჯვებულები იგივე რაოდენობის თანხებით დააჯილდოვა, ხოლო დამატებით, საუკეთესო ტექნიკურ მოჭიდავეს გადასცა 500 ლარი, ვეტერან მოჭიდავეებს შორის გამარჯვებულ გია შარიაშვილს კი 600 ლარი.

იმედია, რომ ჩვენს სოფლებში არსებული ტრადიციული დღესასწაულები თანდათანობით დაიბრუნებენ პირვანდელ სახეს, რისთვისაც, მოსახლეობამაც უნდა იტვირთოს თავისი წილი პასუხისმგებლობა და ხელი შეუწყოს მერიის მიერ წამოწყებულ ღონისძიებებს.

ალექსანდრე გიგილოშვილი

სიმინდის ქართული ჯიშების დახასიათება

ყვარლის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა ოდითგანვე მისდევდა მესიმინდეობას და უხვი მოსავლის მოყვანის ტექნოლოგიაც ისწავლეს. მაგრამ, ბოლო დროს პოპულარული გახდა გენმოდიფიცირებული თესლის გამოყენება, მაშინ როდესაც უნიკალური ქართული სიმინდის ჯიშები არანაკლებ მოსავალს იძლევა და ადამიანის ორგანიზმისათვის მეტად სასარგებლოცაა. გთავაზობთ ქართული ჯიშების დახასიათებას:

აბაშური ყვითელი ადგილობრივი საგვიანო ჯიშია; გაუმჯობესებულია საქართველოს სასელექციო სადგურის მიერ ინდივიდუალური და მასობრივი გამორჩევის მეთოდით. თესვიდან სრულ სიმწიფემდე 130-136 დღეს საჭიროებს.

დარაიონებულია 1938 წლიდან I, II და III ზონებისათვის.

მცენარე სიმაღლით 240-320 სმ-ია; ფოთოლთა რაოდენობა აღწევს 18-22-მდე, ტაროს მიმაგრების სიმაღლე უდრის 130-150 სმ, ბარტყებს იშვიათად ივითარებს.

ტარო სიგრძით 18-24 სმ-ია, ოდნავ კონუსური, მისი ქვედა დიამეტრიც უდრის 30,5-50,0 მმ-ს, მარცვლის მწკრივი – 8-14-ს; ნაქუჩი თეთრი აქვს, მარცვლის გამოსავალი 80-82 %-ს აღწევს.

მარცვალი მუქი ყვითელია, ნახევრადკბილა და კბილა ტიპის; დიდი ზომისაა, ფართო; სიგრძისა და სიგანის შეფარდება უდრის 10,0-10,1 მმ-ს; 1000 მარცვლის მასა 350-450 გრამია.

მიეკუთვნება სახესხვაობა ქსანტოდონს.

აბაშური ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა საგვიანო ჯიშია; მიღებულია კაჟა და კბილა ტიპის სიმინდის ბუნებრივად შეჯვარების შედეგად; სავეგეტაციო დღეთა რაოდენობა უდრის 135-155-ს; ძირითადად ტენით უზრუნველყოფილ რაიონებშია გავრცელებული;

საშუალო მოსავალი ჰექტარზე 24-32 ცენტნერია (მარცვალი), ხელსაყრელ პირობებში კი 40 ცენტნერს აღემატება; იძლევა ბევრ სასილოსე მასას (350-400ც/ჰა, ხელსაყრელ პირობებში მეტსაც).

დარაიონებულია 1947 წლიდან II ზონისათვის.

მცენარე 250-320 სმ-ია; ფოთლების რაოდენობა უდრის 18-22, მიწისზედა მუხლთა რაოდენობა 16-18-ს, ტაროს მიმაგრების სიმაღლე 130-150 სმ-ს; ბარტყებს იშვიათად ივითარებს. ტარო ოდნავ კონუსურია, სიგრძით 16-20სმ; მარცვლის მწკრივები ხშირად არასწორია, განსაკუთრებით ტაროს ქვედა ნაწილში; ნაქუჩი თეთრია, იშვიათად გვხვდება ვარდისფერნაქუჩიანიც; მარცვლის გამოსავალი 78-80%-მდე აღწევს. მარცვალი თეთრი, დიდი და ბრტყელია; ეკუთვნის თავისებურ ნახევრადკბილა ტიპს, მაგრამ უფრო უახლოვდება კბილას; სიგრძე 10,2-13,4 მმ-ია, სიგანე 9,7-12,4 მმ, 1000 მარცვლის მასა 400-500 გრამია.

მიეკუთვნება სახესხვაობა ლევკოდონს.

ადგილობრივი ყვითელი ნახევრადკბილა საკმაოდ მოსავლიანი საგვიანო ჯიშია (120-140 დღე); წარმოადგენს კბილა და კაჟა ფორმების შენაჯვარს, ოღონდ კაჟა სიმინდის თვისება უფრო მკაფიოდ აქვს გამოსახული.

დარაიონებულია 1933 წლიდან I და IV ზონებისათვის.

მცენარე მაღალტანიანია, იზრდება 3 მეტრამდე, ზოგჯერ-უფრო მაღალიც.

ტაროს სიგრძე საშუალოდ 20-21 სმ-ია, ოდნავ კონუსური; უსწორმასწოროდ განწყობილი მარცვლის მწკრივების რაოდენობა 10-12-ია; ნაქუჩი თეთრია, მარცვალი ყვითელი მიეკუთვნება სახესხვაობა ქსანტოდონს.

ადგილობრივი თეთრი ნახევრადკბილა საგვიანო ჯიშია; სავეგეტაციო დღეთა რაოდენობა 130-140-ს უდრის; მიღებულია ბუნებრივ პირობებში კაჟა და კბილა ფორმების ურთიერთშეჯვარებით; დარაიონებულია 1934 წლიდან I, IV და XVII ზონებისათვის. მცენარე 230-300 სმ-ია; ფოთლების რაოდენობა უდრის 16-20-ს, მიწისზედა მუხლთა რაოდენობა 14-16-ს, ტაროს მიმაგრების სიმაღლე 120-140სმ-ს.

ტარო კონუსური ფორმისაა, სიგრძით 14-16 სმ; მარცვლის მწკრივების რაოდენობა უდრის 8-12-ს; ნაქუჩი თეთრი.

მარცვალი დიდი, თეთრი, ბრტყელი, ნახევრადკბილა.

მიეკუთვნება სახესხვაობა ლევკოდონს.

ავჯამეთის თეთრი საქართველოს სასელექციო სადგურის მიერ გაუმჯობესებული ადგილობრივი ჯიშია; სავეგეტაციო დღეთა რაოდენობა უდრის 140-152-ს. ჭარბტენიან რაიონებში ყვითელმარცვლიან ჯიშებთან შედარებით უხვმოსავლიანია; გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზოლში აბაშურ ყვითელთან ერთად, მაგრამ მისი არეალი უფრო ფართოა და გადმოდის აღმოსავლეთ საქართველოშიც-ალაზნის გაღმა მხარეს.

დარაიონებულია 1938 წლიდან I, II, III, IV და XVII ზონებისათვის.

მცენარე სიმაღლით 230-300 სმ-ია;

მარცვლის გამოსავალი 81-83%-ს უდრის.

მარცვალი დიდია, ბრტყელი; წარმოადგენს ნახევრადკბილა და კბილა ტიპს; მიღებულია კაჟა და კბილა ფორმების ჰიბრიდიზაციის შედეგად. სიგრძე 10-12მმ-ს უდრის, სიფართე 8-22 მმ-ს, სისქე-2,6-6,4 მმ-ს, 1000 მარცვლის მასა 350-500 გრამია.

მიეკუთვნება სახესხვაობა ლევკოდონს.

გეგუთური ყვითელი გამოვლინებული და გაუმჯობესებულია ქუთაისის რაიონში (გეგუთში); საგვიანო ჯიშია; აღმოცენებიდან სიმწიფემდე 130-135 დღე სჭირდება; ჯიში კარგია დასავლეთ საქართველოს დაბლობი ტენიანი რაიონებისათვის.

მცენარის სიმაღლე 180-250 სმ; ბარტყებს ძალიან ცოტას ივითარებს.

ტარო შედარებით დიდია, ოდნავ კონუსური; წონით 180-240 გრამია, სიგრძით 18-20სმ, ნაქუჩი თეთრია; მარცვლის მწკრივთა რაოდენობა ტაროზე უდრის 8-10-ს.

მარცვალი ნახევრადკბილაა, ყვითელი (უფრო მუქი შეფერვით, ვიდრე აბაშური ყვითელი); სიგრძე 12მმ-ია, სიფართე-11,4 მმ, სისქე – 4,2 მმ; 1000 მარცვლის მასა 400-500 გრამია.

მიეკუთვნება სახესხვაობა ქსანტოდონს.

იმერული ჰიბრიდი საქართველოს სასელექციო სადგურის საგვიანო ჯიშია, გამოყვანილი პროფ. ლ. დეკაპრელევიჩის

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

ქართული ენა კურთხეულია ბიბლიაში: „და ენაი ესე, შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა“

უკვე მე-40 წელია, საქართველოში „დედაენის დღე“ აღინიშნება. ამ თარიღის დაწესებას თავისი ისტორია აქვს. კერძოდ, 1978 წლის 14 აპრილს, საქართველოს მოსახლეობამ გააპროტესტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება საქართველოში ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. საპროტესტო აქციებზე გამოსული ათიათასობით ადამიანი, ხელისუფლებისგან ქართული ენის სახელმწიფო ენად დაკანონებას მოითხოვდა. პროტესტმა შედეგი გამოიღო და მაშინდელი კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახელმწიფო ენად, ქართული ენა გამოცხადდა. ასე დამკვიდრდა „დედაენის დღეც“, რომელსაც ყოველწლიურად ზეიმობს სრულიად საქართველო.

აღსანიშნავია, რომ საუკუნეების განმავლობაში არაერთხელ დამდგარა საფრთხის ქვეშ ქართული ენა. ქვეყნის მტრებს ყოველთვის ერთი მიზანი ამოძრავებდათ მოესპოთ ქართველებისთვის ენა, მამული, სარწმუნოება, მაგრამ ვერავინ შეძლო ამ საუნჯის წართმევა. დიდი ბრძოლით და სისხლით შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა ჩვენმა ერმა, როგორც ლადო ასათიანი ამბობს „ ხმათა ხავერდების და ღმერთების ენა“...

მსოფლიოში სულ თოთხმეტ ერს აქვს შესაძლებლობა იამაყოს საკუთარი ანბანით, მათ შორისაა საქართველო. ალბათ, არ მოიძებნება ერი, რომელსაც მშობლიური ენისთვის დედა ენა ეწოდებინა, დედა ენისთვის ძეგლი დაედგა, დედა ენის დღე საყოველთაო დღესასწაულად ექცია.

ალბათ, არც ერთ ენას არ ჰყოლია იოანე ზოსიმედან დაწყებული მრავალი სიტყვამადლიანი მეხოტბენი.

დედა ენა ქართველებისათვის სამშობლოსთან და რწმენასთანაა გაიგივებული. ამიტომ დაგვიტოვა ანდერძად დიდმა ილიამ „მამული, ენა, სარწმუნოების“ მოვლა და გაფრთხილება. ერის მოძღვარს და მოამაგეს კარგად ესმოდა, რომ ქართული ენა ქრისტიანულ სარწმუნოებასთან ერთად მრავალი საუკუნის განმავლობაში ამტკიცებდა და ადუღაბებდა ქართულ სახელმწიფოებრიობას, საერთო ენამ და სარწმუნოებამ დიდი როლი შეასრულა ერთიანი საქართველოს ჩამოყალიბებაში. ამ ერთიანობამ კიდევ უფრო გააძლიერა და სრულყო ქართული ენა. იგი გახდა ყველა ქართველისთვის სულიერი შემოქმედების გამომხატველი, მუსიკალური ფოლკლორის, ზეპირსიტყვიერების, თუ თექვსმეტსაუკუნოვანი დამწერლობითი ლიტერატურის სახით.

ქართველი ხალხივით ათას ჭირ-ვარამ გამოვლილმა ქართულმა ენამ, ერის, ენისა და ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ მამულიშვილთა წყალობით, ღირსეულად გადაიტანა და გაუძლო გადაგვარებისა და გაქრობის საშიშროებას.

სამწუხაროდ, დღესაც საფრთხის ქვეშ დგას ქართული ენის სიწმინდე. უცხო ენების შესწავლა სულაც არ გულისხმობს, რომ საკუთარი ენა უარყო. თითოეული ქართველის მოვალეობაა ზრუნვა ქართული ენის სიწმინდეზე. დღეს კიდევ უფრო საჭიროა მისი დაცვა. არცერთ ქართველს არ ეკადრება უგულებელყოს საკუთარი ენა, ილაპარაკოს უცხოური ტერმინებით, როცა არსებობს უფრო ლამაზი, ამ ტერმინების შესატყვისი ქართული სიტყვები. განსაკუთრებული ყურადღება და პასუხისმგებლობა აკისრიათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სადაც ეს პრობლემა ძალიან ნათლად სჩანს.

არადა, ჩვენი სათაყვანებელი მამულიშვილი, დედა ენის ავტორი დიდი იაკობ გოგებაშვილი წერდა:“ ქართული ენა ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორიც არის ბუნება კავკასიონისა. „დედა ენა“ არის ენა სულისა და გულისა, დედაბოძი ჭეშმარიტი განათლებისა.

მაშინ, როდესაც ძეგლი დავუდგით დედა ენას, რასაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება, რაც ზუსტად ადასტურებს, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს ქართულ ენას ჩვენს წარსულში, აწმყოსა და მომავალში, თითოეული ქართველის პირდაპირი მოვალეობაა პატივი ვცეთ, დავიცვათ და გავუფრთხილდეთ მას.

ყოველწლიურად, 14 აპრილს, მთელი ქვეყნის მასშტაბით იმართება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები.

სწორედ დედაენის დღეს მიეძღვნა ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში გამართული ღონისძიება, რომელიც ჩატარდა ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრის და ყვარლის , ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის ძალისხმევით. ღონისძიებას უძღვებოდა კულტურის განვითარების ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ქალბატონი მაგული სააკიშვილი.

დამსწრე საზოგადოებას დედა ენის დღესასწაული მიულოცა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა როსტომ სესიაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ თითოეული ადამიანის ვალია დაიცვას და გაუფრთხილდეს ქართველი ერის უდიდეს საუნჯეს – დედა ენას. ასევე, დამსწრეებს სიტყვით მიმართეს და ამ დღის მნიშვნელობაზე ისაუბრეს: კულტურის განვითარების ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა მაია ზარდიაშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის, კულტურის, სპორტის და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსმა და ანსამბლ „ხეუროს’ ხელმძღვანელმა ბატონმა ირაკლი მათიკაშვილმა და სხვა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა შემოქმედებითი ჯგუფები და ინდივიდუალური შემსრულებლები.

დედა ენისადმი მიძღვნილი ზეიმი მნიშვნელოვანი დღესასწაულია ჩვენთვის. ამ დღესასწაულით შევახსენებთ ყველას, მტერს თუ მოყვარეს, რომ: „ქართული მარტო ენაა?! ქართული ქართველთ რწმენაა! ღმერთია! ბედისწერაა! ზღვა როა! იმოდენაა!“

ია გიგიაშვილი



ჩემო საქართველო

გადაწვეს და გადაბუგეს
ჩემი საქართველო,
სულ მალე აღარ დარჩება,
არც კორდი, არც მდელო.
ჩემო ლამაზო ქვეყანავ,
„დავითის“ ნაშენო,
ჩემი ლექსით და სიმღერით
მინდა აგაშენო.
ქართველებიც დავცოტავდით,
გავამრავლეთ სხვები,
ჩინელით თუ ინდოელით
დავიმძიმეთ მხრები.
ვის არ ნახავთ ამ კოპწია
დედულ-მამულეთში,
„აღა-მაჰმადხანის“ მოდგმას
დროშები აქვთ ხელში.
„მურვან-ყრუთა“ ჯიშ-ჯილაგი
დანავარდობს „კახეთს“,
ვითომ „კეთილგანწყობილნი“
დაგვიგებენ მახეს.
წაგვართმევენ ამ მიწას და
წყაროს „სანატრელოს“,
ნეტავ როდის გვეშველება
ჩემო საქართველო?!

ქართველები – უცხოეთში,
უცხო ტომი – აქეთ,
დაკარგული მიწა-წყალი
მერე მიდით, აქეთ!
შეხედეთ ღვთისმშობლის თვალებს
ავსებია ცრემლით,
აღარა ჰყავს ჩვენს ქვეყანას
ერთგული და მცველი.
გალაკტიონს – მზე წაართვეს,
მტკვარს ართმევენ – ტატოს,
მიპასუხეთ, გონიერნო
რატომ?... რატომ?... რატომ?!
სად, სად არის ის სამასი
არაგველი ჩვენი?
იმათ აჩრდილს, ნაფეხურებს
ჩუმი ლოცვა შვენის.
მარაბდის ველს ისევ შერჩა
სისხლიანი კვალი,
ღამ–ღამობით ხმა ისმისო
მოტირალი ქალის.
მარტყოფს ისევ ესიზმრება
სისხლისფერი წვიმა,
და გმირები! ვაჟკაცები!
მის ველზე რომ იწვა.

ესიზმრება, როცა ძლიერ
დაუბერა ქარმა,
რამდენი „ურჯულო“ შთანთქა
სააკაძის ხმალმა.
– ნუთუ სამშობლოს გვართმევენ
მოპოვებულს სისხლით,
ყური უგდეთ,
ცხრა ძმა გმირის
ჩუმი კვნესა ისმის.
რა ტანჯვა აღარ გინახავს
ჩემო საქართველო,
სახელს გიცვლი და დღეიდან
გარქმევ „სანატრელოს“.
ახლა მხოლოდ დაგვრჩენია
უფლის რწმენა დიდი,
ერთმანეთის სიყვარული
გატანა და რიდი.
მხოლოდ თავდადებით უნდა
გავიტანოთ ლელო,
– რა ვქნა, შენზე ფიქრიც მტკივა
ჩემო საქართველო!!!

ნათია სირაძე-კახიძე

დედა ენის დღეს მიეძღვნა

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ყვარლის 1 საჯარო სკოლაში დედაენს დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაში ჩართული იყვნენ I – IX კლასის მოსწავლეები, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგებთან ერთად.

გარდა მხატვრულ-მუსიკალური კომპოზიციებისა, ღონსძიების ფარგლებში ჩატარდა ქართული ენისადმი მიძღვნილი ვიქტორინა, ასევე მოეწყო ქართული ანბანის გამოფენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ როგორც სკოლის მოსწავლე-მასწავლებლები, ასევე საპატიო სტუმრები ყვარლის საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან, „წმინდა ილია მართლის საზოგადოებიდან“ და გაზეთ „ყვარლის“ რედაქციიდან. ბატონმა მევლუდ იობაშვილმა ვიქტორინაში გამარჯვებული ბავშვები ილია ჭავჭავაძის 180 წლის იუბილესათვის გამოცემული წიგნით „თქვენი ვარ შვილი“ დააჯილდოვა, ასევე სკოლის ყველა სოციალურად დაუცველ მოსწავლეს საჩუქრად გადასცა წიგნები.

ქართული ენა

ქართული ენა
ერის გულის
გასაღებია.
ქართული ენა
ჩვენი გრძნობის
და სიცოცხლის
თანამდებია.
ქართული ენა
სულის სულთან
შენამღერია
ქართული ენა
ერის ყოფნის
გადამრჩენია.
ქართული ენა
უკვდავია
და ცოცხალია.
ქართული ენა
წარსული და
მომავალია.
ქართული ენა
სულის ფრენა
და სიმაღლეა.
ქართული ენა
სინათლეა
სიყვარულია.
ქართული ენა
უფლისაგან
საჩუქარია
ქართული ენა
ქართველისთვის
დედის გულია
და ჰე, ქართველნო
მოფრთხილება
ჩვენი ვალია.

მანანა შატავიძე

გაზაფხულივით ლამაზ ქალბატონს

ისევ მოვიდა გაზაფხული. ლამაზმა აპრილმა შემომილო გულის კარი და გაზაფხულის მოკრძალებული ყვავილების სურნელი მომიტანა. სული გამითბა.

ჩემს გონებაში კინო-კადრივით გაირბინა იმ ლამაზმა მოგონებებმა, რომლებიც ჩემს შვილებს და მე იზოლდა მასწავლებელთან გვაკავშირებდა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მისვლა ჩემი შვილებისთვის და ჩემთვის ყოველთვის დღესასწაული იყო. ცისფერთვალება ქალბატონი ყოველთვის თბილი ღიმილით გვხვდებოდა, უდიდეს სითბოს და სიყვარულს გვჩუქნიდა. იზოლდა მასწავლებელი ბავშვებს ლექსის მხატვრულად წაკითხვას ასწავლიდა. მისი დამსახურებაა ჩვენი შვილები პოეზიის მადლით გამთბარი გულით რომ დადიან ამქვეყნად.

გულდასაწყვეტია ყველასთვის ის, რომ დღეს ყვარელს აღარ ამშვენებს მოსწავლე-ახალგაზდობის (პიონერთა სასახლე) ლამაზი შენობა. უდიდეს ტკივილს ვგრძნობ, როდესაც იმ ადგილას გავივლი, – იქ ჩემი სულის „ნავსაყუდელი“ იყო.

გავიდა წლები. ბევრი რამ შეიცვალა. ერთადერთი რაც გადარჩა, წლებს გაუძლო და ვიცი არასოდეს არ გაფერმკრთალდება – ეს ჩემი დიდი და ლამაზი სიყვარულია იზოლდა მასწავლებლისადმი. იზოლდა მასწავლებელი ჩემი უფროსი მეგობარია, ყოველთვის ესმის ჩემი. სათუთად ვინახავ და ვუფრთხილდები მისგან მოძღვნილ საკუთარი ლექსების კრებულს.

ადამიანებისადმი უსაზღვრო სიყვარულით გამთბარი ქალბატონი, სიყვარულის დღეს, 15 აპრილს მოავლინა ღმერთმა.

გილოცავთ იზოლდა მასწავლებელო დაბადების დღეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ბედნიერებას თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ლელა ყურშიტაშვილი-კახაშვილი

პოეზია

გაზაფხული

ისევ მოფრინდა ლაღი აპრილი,
ცელქი სურვილი აცეცებს თვალებს...
ყომრალ ბინდებში დაღლილ-დაცლილი,
ზამთარი ჩუმად იხურავს კარებს.
სიომ მახარა შენი სუნთქვა,
ჭორები უთქვამთ:
„–რომ მთვარესავით ბადრი ბიჭი,
ქარივით გიჟი...
ხიბლით შეუკრავს მზისფერ გოგოს
პრომეთე როგორც!
გადარეულან ალერსისგან მწვანე თვალები,
მკერდი დამთვრალა გაშმაგებით“...
წვიმს დანანებით,
ჩუმად ოხრავენ გულმოკლული ლამაზმანები...
სიცოცხლევ ჩემო, დამიჯერე,
მომკალი მერე!
ეს ყველაფერი სიზმარია, ამბავი წამის.
გულის კანკალით მოგეფერე, დავიწვი ლამის,
ნაცრისფერი დღე, მძიმე ნისლი, ტკბილი გოდება,
აი ეს დამრჩა, ბედი კვლავაც გადაგორდება...
ისევ იქნება შენაცვლება დღისა და ღამის,
კიდევ ითქმება სოფლად ჭორი: მზისა და მთვარის.

იოსებ სოლომნიშვილი

და მაინც შევეგებოთ სიბერეს მხნედ

სიბერე უკურნებელი სენია, რომელსაც ვერავინ დაემალება. სიბერე უცბად არ მოვა შენთან, იგი ნელ-ნელა შემოგიძვრება ორგანიზმში. ჯერ იმ მოზღვავებულ ძალას და ენერგიას ოდნავ შეგისუსტებს, შემდეგ გაგინახევრებს და ბოლოს სულ წაგართმევს, მუხლში ძალას გამოგაცლის და შეგახსენებს ბავშვობაში მერცხალივით რომ დაფრინავდი, ისე სწრაფად დარბოდი, თითქოს მინაზე ფეხს არ ადგამსო. სიბერე ის არის, ხელებზე ძარღვები რომ დაგემჩნევა, მკლავზე დაიხედავ და შენს დაჭმუჭნილ კანს დაინახავ, სარკეში ჩაიხედავ და შენს თეთრად დათოვლილ თმას და სახეზე ნაოჭებს დაინახავ, თვალზე ცრემლი მოგადგება, მაგრამ რას იზამ, ბევრ რამეზე დაგწყდება გული. გაზაფხულდება, მაგრამ აღარ გიხარია გაზაფხულის შემობრძანება, რადგან შენს გულში ზამთარია. აყვავდება ია, ენძელა, ყოჩივარდა, შორიდან ეფერები, გინდა ახლოს მიხვიდე, მაგრამ ძლივს მილასლასებ, მიხვალ, გინდა მოწყვიტო, მაგრამ ვეღარ იხრები, წელი არ გაძლევს საშუალებას, საშინელ ტკივილს გრძნობ. სიბერე სიმაღლესაც გართმევს, ადრე შენი ხელით რომ ბალს ან თუთას მონყვეტდი, ეხლა ვეღარ წვდები ტოტებს, გულდაწყვეტილი უკან გამობრუნდები და იტყვი – ნეტავ იმ დროს. გული არ ბერდება, საქმის კეთების ხალისი კიდევ გაქვს, მაგრამ ძალა აღარ გყოფნის, ამიტომ მისტირი ჩიტივით გაფრენილ წლებს და ახალგაზრდობას. მე პირადად მოხუცი მამაკაცები უფრო მეცოდებიან, ვიდრე ქალები. კაცები, რომლებიც საკუთარი ძალ-ღონით ტრაბახობდნენ და ახლა დაუძლურებულები არიან. ჩემში მოხუცი ადამიანი ასოცირდება ტყეში გამარტოებულ ნახევრად გამხმარ მუხის ხესთან, რომელსაც ოდნავი ქარიც კი წააქცევს. ოდესღაც ისიც ხომ ყოყოჩობდა თავისი სიჯანსაღით, სილამაზით და სიმაღლით. ისე, რომ სიბერე გულდასაწყვეტია, მაგრამ გარდუვალი; და მაინც შევეგებოთ სიბერეს მხნედ.

იზა ცირიკაშვილი

ნიკოლოზ ბარათაშვილი

მწვანედ ჩაფლულ ბუნებაში ისმოდა ბავშვების ტკბილი ხმები.

– ტატო, შეხედე რა ლამაზი ჭიამაია, აფრენას ლამობს, მაგრამ ვერ ახერხებს.

ეკატერინემ ჭიამაია ხელის გულზე მოითავსა და უჩურჩულა: – გაფრინდი ჭიამაია-ო, თან ეღიმებოდა, რასაც ფიქრობდა მოერიდა ხმამაღლა თქმა, თითქოს ჩაესმა ალერსიანი სიტყვები მწერს, აფრინდა და უცებ ტატოს მკერდზე შეაფრინდა, გაოცებულნი დარჩნენ, ეკატერინეს მეტყველი თვალები სიხარულისგან გაუბრწყინდა, თავის ფიქრს ფიქრითვე უპასუხა. – ნუთუ? – აღფრთოვანებას ვერ მალავდა, თავი ბედნიერად იგრძნო.

ჭიამაიას სწრაფი აფრენასავით გაფრინდა წლები.

ტატო გრძნობდა ცხოვრების უკუღმართობას, არ ეპუებოდა, რადგან პოეზიის მოტრფიალე ლექსებში ხედავდა შვებას, მას ხომ ყოველ სტრიქონში ტრფიალი მიჯნური სულის გრძნობებით ჰყავდა ჩაქსოვილი და ასეც იყო: ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახში წვეულებაზე მოწონება დაიმსახურა, რომელიც მთელი არსებით ეტრფოდა სილამაზის ნაზ არსებას ეკატერინეს, რომელსაც თეთრ კაბაში გამოწყობილს ყელი შვლის ნუკრივით მოეღერებინა და მოხიბლული უსმენდა, ეს რას ნიშნავდა მისთვის არავინ იცოდა, არავის ესმოდა ეკატერინეს გარდა, ეგონა ყველაფერი ამით გაუმართლდებოდა, სიცოცხლე გაულამაზდებოდა, მაგრამ რა იცოდა რა სიმწარეს უმზადებდა, მეხივით დაეცა თავზარი, რომ გაიგო ეკატერინე დადიანს მიჰყვებოდა, ფიქრობდა:

„ – ნუთუ იმიტომ, რომ ვარ გლახაკი, ფუფუნებაში აღზრდილ ეკატერინესათვის ასეა საჭირო.

– ნუთუ იმიტომ, რომ ვარ მახინჯი ეკატერინესათვის რაინდია საჭირო, ან იქნებ ყოველი მისი მოქმედება მხოლოდ შეცოდების მიზნით იყო:

– ო, არა, არა, – ეს ხომ მისთვის უფრო მწარე ხვედრი იქნებოდა;

– ო, არა, არა, – გაფიქრებაც კი არ სურდა.

ბედკრულს სული ეტანჯებოდა, მაგრამ მტკიცედ სჯეროდა, ერთ ბედნიერებას ვერავინ წაართმევდა, – პოეზიის სიყვარულს, რადგანაც ეკატერინე ყოველთვის მასთან იყო.

მერი პატარაძლიშვილი

სწორედ ეს წიგნი დაარწმუნებს მკითხველს, რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა...

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180-ე წლისთავის აღსანიშნავად გამოვიდა მშვენიერი წიგნი „თქვენი ვარ, შვილი“. (ავტორები: გალინა ხარებაშვილი, ვალერიან ზურაშვილი და მანანა ყიფიანი). იგი სრულყოფილად ასახავს ბრძენკაცის ცხოვრებას, შემოქმედებასა და მოღვაწეობას.

მოგეხსენებათ, კახეთი, მათ შორის ყვარელი, ღვინის სამშობლოა. ამ წიგნში მრავლად შეხვდებით ინფორმაციას აღნიშნულის შესახებაც. გაეცნობით როგორც ილიას დროინდელ, ასევე თანამედროვე კახეთის რაიონებსა და მათ მიღწევებს. წიგნი დამშვენებულია საუკეთესო არქიტექტურული ილუსტრაციებით.

ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ადრე ქალს მზითვად ატანდნენ „ვეფხისტყაოსანს“. მიმაჩნია, რომ დღეს იგივე მისია უნდა შეასრულოს ამ წიგნმაც. იგი არა მარტო ქალს უნდა გაატანოს ოჯახმა, არამედ, რძალსაც უნდა დაახვედროს. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ილიას გზით სიარული, ილიას იდეებზე მომავალი თაობის აღზრდა; ამის გარდა ილია ყოველთვის გვარიგებს, გვაფრთხილებს, გვმოძღვრავს. აი, რას წერს იგი: „უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების წინ და აინუნშიც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა, ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდრიანად“. სამწუხაროდ, ეს თხრილები წარსულშიც იყო, აწმყოშიც არის და ალბათ მომავალშიც იქნება. გადასარჩენად კი „არსებობს ერთი სკოლა, რომლის დამთავრებაც არაა აუცილებელი. სასურველია, მთელი ცხოვრება მის კედლებში გაატარო. ეს სკოლა ილია ჭავჭავაძეა“.

სწორედ ეს წიგნი დაარწმუნებს მკითხველს, რომ ერთადერთი ნამუსიანი სახსარი ცხოვრებისა შრომა, გარჯა, ცოდნა და ხერხია. ამავე დროს გვასწავლის, თუ როგორ შევძლოთ, რომ ვიყვნეთ „დროთა ჩარხზე გაჩარხულნი“.

იგი არა მარტო უნდა წავიკითხოთ, არამედ უნდა ვისწავლოთ და დავრწმუნდებით, რომ ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე ილიას არ დარჩენია ქვეყნის ცხოვრებაში პარაქტიკულად არცერთი სფერო და უბანი, რომელშიც არ ჩაეხედოს, არ გაეანალიზებინოს, გამოსავალი არ მოეძებნოს.

ეს წიგნი ყველა ყვარლელის ოჯახს უნდა ამშვენებდეს. იგი ხომ ჩვენი ერის სინდის-ნამუსია და, ამავე დროს ჩვენი ცხოვრების გზამკვლევიცაა.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გამოვხატო მადლიერება წიგნის რედაქტორებთან: თამაზ ტყემალაძესა და დავით ლაფაჩიშვილთან ერთად იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს ამ მშვენიერი წიგნის დღის სინათლეზე გამოსატანად.

ზეინაბ ჭიჭიკოშვილი

სიმინდის ქართული ჯიშების დახასიათება

დასაწყისი მე-2 გვ. -ზე

მიერ ქუთაისის ბუნებრივი ჰიბრიდიდან მასობრივი შერჩევის გზით; სავეგეტაციო პერიოდი, ადგილმდებარეობის მიხედვით, 140-150 და ზოგჯერ 160 დღემდე გრძელდება, ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით; ფქვილის ხარისხის მიხედვით ერთ-ერთ საუკეთესო სასურსათო ჯიშად ითვლება. როგორც საკვებ-სასილოსე ჯიში, გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი ზონის სარწყავ მიწებზე. მას დიდად აფასებენ შუა აზიისა და სხვა რესპუბლიკებში.

დარაიონებულია 1931 წლიდან X ზონისათვის.

მცენარე სიმაღლით 3 მეტრამდე აღწევს; შეფოთვლა საკმაოდ უხვი აქვს.

ტარო გრძელი (20-24 სმ), ოდნავ კონუსური, ნაქუჩი – თეთრი; სწორად განწყობილი მწკრივების რაოდენობა ტაროზე უდრის 12-16-ს, მარცვლის გამოსავალი შედარებით დაბალია (მერყეობს 75-78%-ის ფარგლებში).

მარცვალი ყვითელია – სხვადასხვა შეფერვით, თავგადალესილი, იშვიათად – ოდნავ ჩაღრმავებული, სიგრძით ცოტა უფრო მეტი, ვიდრე სიგანით; 1000 მარცვლის მასა 310-330 გრამია.

მიეკუთვნება სახესხვაობა ულგატს.

ქართული კრუგი გამოყვანილია საქართველოს სასელექციო სადგურის მიერ უცხო ჯიშ-კრუგკორნიდან; საგვიანო ჯიშია, აღმოცენებიდან სიმწიფემდე 132-136 დღე სჭირდება. აღმოსავლეთ საქართველოში (მორწყვისას) იძლევა უხვ მოსავალს.

დარაიონებულია 1949 წლიდან IV, IX, X, XVII და XVIII ზონებისათვის.

მცენარის სიმაღლე 240-320 სმ-ია, ფოთოლთა რაოდენობა 16-20, ტაროს მიმაგრების სიმაღლე – 115-160 სმ.

ტარო დიდი ზომისაა, თითქმის ცილინდრული, ნაქუჩი – წითელი; მარცვლის მწკრივთა რაოდენობა 12-18; მწკრივები სწორია; ტაროს როგორც წვერი, ისე ბოლო ხშირად კარგად არის ამოვსებული მარცვლით; მარცვლის გამოსავალი 82-84%-ს აღწევს.

მარცვალი კბილა ბრტყელი, წაგრძელებული; სიგრძე საშუალოდ უდრის 12,4 მმ-ს, სიგანე 8,6 მმ-ს, სისქე 3,5-დან 4,3 მმ-ს. მარცვლის წვერი ღია ყვითელია (უფრო ნათელი), დანარჩენი ნაწილი კი ყვითელი – პრიალა ზედაპირით. 1000 მარცვლის მასა უდრის 360-420 გრამს.

მიეკუთვნება სახესხვაობა ფლაორუბრას.

ადგილობრივი ყვითელი კაჟოვანა ძველი ადგილობრივი სამეურნეო ჯიშია ტიპიური კაჟა სიმინდის ჯგუფიდან; დათესვიდან სრულ სიმწიფემდე სჭირდება 110-120 დღე; საკმაოდ გვალვაამტანია, მოსავლიანობა ხელშემწყობ პირობებში 20-30 ცენტნერს აღწევს ჰექტარზე.

დარაიონებულია 1940 წლიდან V, VI, VII, IX და XIV ზონებისათვის.

მცენარე სიმაღლით 130-160 სმ-ია; შეფოთვლა სუსტი აქვს (11-13).

ტარო შედარებით მოკლეა (11-15 სმ), მკვეთრად გამოხატული კონუსური ფორმით, სპირალური ან ალაგ-ალაგ არეული. მწკრივების რაოდენობა ტაროზე 10-14-ს უდრის; ნაქუჩი თეთრი აქვს.

მარცვალი ყვითელია, კაჟა ოდნავ წაგრძელებული ან თითქმის თანაბარი; 1000 მარცვლის წონა 210-330 გრამია.

ადგილობრივი თეთრი კაჟოვანა, წარმოადგენს ძველ ადგილობრივ ჯიშს კაჟა სიმინდის ჯგუფიდან; უფრო საგვიანოა, ვიდრე კაჟოვანა ყვითელი და სრული შემოსვლისათვის საჭიროებს 114-122 დღეს; მოსავლიანობით საშუალოა, მაგრამ მერყევი, მაქსიმუმი (ცალკე წლებში) აღწევს 20-23 ცენტნერამდე ჰექტარზე.

დარაიონებულია 1933 წლიდან V, VI, VII, IX, XII, XIII და XIV ზონებისათვის.

მცენარე შედარებით უფრო მაღალტანიანია, ვიდრე კაჟოვანა ყვითელი (სიმაღლე აღწევს 150-250 სმ-მდე), შეფოთვლაც უფრო უხვი (15-17) აქვს.

ტაროს საშუალო სიგრძე 16-17 სმ-ია, კონუსური ფორმით; ნაქუჩი თეთრია; ტაროზე მწკრივების რაოდენობა უდრის 12-16-ს; მარცვლის გამოსავალი უდრის 78-83%-ს.

მარცვალი თეთრია, თავგადალესილი, ბრჭყვიალა; 1000 მარცვლის წონა უდრის 290-330 გრამს; სიგრძე-სიგანით თანაბარია.

მიეკუთვნება სახესხვაობა ალბას.

პაპალაშვილი 3. გამოყვანილია საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მცხეთის სასელექციო სადგურის მიერ პროფ. პაპალაშვილის მრავალტაროიან-მრავალღეროიანი თეთრიდან ინდივიდუალური და მასობრივი გამორჩევის გზით. მიეკუთვნება ქვესახეობა ნახევრად კბილას, მცენარე 310-350 სმ-ია. ტაროს მიმაგრების სიმაღლე 150-160 სმ, ბარტყობა ახასიათებს ძლიერი, ბარტყთა რიცხვი მცენარეზე 2-3. ფოთლის რიცხვი 21-25, მინისზედა მუხლების რიცხვი – 16-20, ტაროს საშუალო სიდიდის სუსტი კონუსისებური, სიგრძე 18 სმ, მარცვლის რიგების რიცხვი 10-12, მარცვლის რიცხვი მწკრივში 30-40, ნაქუჩი თეთრი, მარცვლის გამოსავალი ტაროდან 82%. ტარო მომწიფებისას ფუჩეჩით კარგადაა შეკრული. მარცვალი ნახევრადკბილა, 1000 მარცვლის მასა 330 გ, სავეგეტაციო დღეთა რიცხვი აღმოცენებიდან სრულ სიმწიფემდე 140-145 დღეა. სუსტად ავადდება გუდაფშუტით. კარგი მოვლისა და ტენით უზრუნველყოფის პირობებში ის ჯობია სტანდარტს – ივერია 503-ს, სასილოსე მასით 35-40 ცენტნერით, ხოლო მარცვლის მოსავლიანობა 8-14 ც ჰა-ზე.

სასილოსედ თესვის შემთხვევაში მცენარეთა რიცხვი ჰექტარზე არ უნდა აღემატებოდეს 30 ათასს, სამარცვლედ კი – 20 ათასს.

პაპალაშვილი-3 დარაიონებულია 1986 წლიდან, საქართველოში და უცხოეთში სასილოსედ და სამარცვლედ.

მოამზადა
ალექსანდრე გიგილოშვილმა

განცხადება

ქ. ყვარელში სასწრაფოდ იყიდება სამოსახლო ადგილი 1400 კვ.მ, არქივთან ახლოს, გურამიშვილის ქუჩის გადაკვეთაზე. ფასი შეთანხმებით.

ტელ: 577 64 45 69.

მისაბაძი დედაშვილობა

დედა შვილის გაჩენის პირველი წუთიდანვე წარმოთქვამს ჯადოსნურ სიტყვებს – შენ დედა გენაცვალოსო და ფრთხილად გკოცნის ვარდისფერ ფუმფულა ლოყაზე, ეშინია არაფერი გატკინოს, გაჭმევს, ზრუნავს შენზე, ტკბილი ხმით ნანას გიმღერის, გაძინებს. ჯერ ძალიან პატარა ხარ საიმისოდ, რომ მიხვდე ვინ არის ეს ქალი, რომელიც სულ შენს გვერდით ტრიალებს, ფუსფუსებს, იტირებ და მასაც ეტირება, გაიღიმებ და ისიც იღიმის, ნელ-ნელა იზრდები, მალე პირველი კბილი ამოგეჭრება, ამასაც პირველად დედა ამჩნევს, თუ ცუდად გახდები, ან გახველებს, ან სიცხეს მოგცემს, პირველი დედა ამჩნევს, დედა ხომ შვილის წამალია. დედა სიცხეს ტუჩების შუბლზე მიდებითაც ხვდება. დედა ძლიერია, არ იბნევა. დედა ხედავს შენს მიერ გადადგმულ პირველ ნაბიჯს, ფეხის ადგმას რომ ცდილობ, დედის კალთას ხელს არ უშვებ, ამ დროს დედა გულში გლოცავს, ღმერთო, ჩემი შვილი სულ სწორი გზით ატარეო. დედას მიყავხარ პირველად საბავშვო ბაღში, სადაც ატირებულს გტოვებს, მაგრამ არ მიჰყევხარ უკან – იცის, რომ ბავშვის განვითარებისთვის ეს აუცილებელია. შემდეგ სკოლა, პირველ კლასში მიყვანა, ეს ყველაფერი დედის გულს ახარებს. დედამ იცის რა სათამაშოთი გაგახაროს, დედა ყველაზე მეტ სიხარულს მაშინ განიცდის, როცა მას პირველად დაუძახებ დედას, ამ დროს გულში გიხუტებს, გკოცნის და თვალები სიხარულის ცრემლებით ევსება. მაგრამ ყველა დედა ერთნაირი არ არის. ჩემი ნაზიკო განსაკუთრებული დედაა თავისი შვილების მიმართ, განსაკუთრებით ბესოს მიმართ. ჩემი მეუღლე და ნაზიკო ალალი დეიდაშვილები იყვნენ. ოთარი აღარ არის. ორივე ყვარელში ცხოვრობდნენ, ორივემ გამოსცადეს დედით ობლობა, პატარა გულები ბავშვობიდანვე დაეჩაგრათ, განსხვავება ის იყო, რომ ნაზიკოს მამაც დარჩა იმედად და უმცროსი ძმა გასაზრდელად. ამას ისე კარგად ახერხებდა, დიდ გამოცდილ ქალსაც კი გააკვირვებდა მისი მუდამ მშვიდი, ალერსიანი გამოხედვა მამისა თუ ძმის მიმართ. დეიდაშვილებს ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, მაგრამ იშვიათად ხვდებოდნენ ერთმანეთს ორი მიზეზის გამო – ერთი სოფლის თავში ცხოვრობდა, მეორე სოფლის ბოლოში. ორივე ერთი ასაკისანი იყვნენ, – 87 წლისანი. ოთარი ორივე თვალით უსინათლო იყო, ნაზიკოს კი მუხლებიც სტკიოდა, გულიც და სიარულიც უჭირდა. ერთმანეთის ნახვა სწყუროდათ, მაგრამ შეუძლებელი იყო ნათქვამია: როგორც „თვალი შორს, ისე გულიც შორსო“. ხო, ასე იკარგება ნათესაობა, ერთმანეთის მიმართ უცხონი ხდებიან და მათი შთამომავლობა კი ფიქრობს, რომ ისინი არათუ ახლობლები არიან, არამედ არც იცნობენ ერთმანეთს. როცა ჩემი მეუღლე გარდაიცვალა, პანაშვიდის შემდეგ, საღამოს რეზომ მითხრა – ბიძინა ონოფრიშვილის ვაჟი ბესო ყოფილაო. მომისამძიმრა, 50 ლარი მომცა და ბოდიში მომიხადა, დაკრძალვას ვერ დავესწრებიო. მაშინვე გადავწყვიტე, როცა დაკრძალვიდან 40 დღე გავიდოდა, წავსულიყავი და ნაზიკოც მენახა და ბესოც გამეცნო. ვთქვი და შევასრულე. ერთ დღეს ჩემმა სიძემ წამიყვანა მათთან, ეზოს კარები შევხსენი და ბესო დავიძახე, რადგან ნაზიკო ლოგინში ჩაწოლილი მეგულებოდა. ვიცოდი, რომ ნაზიკო და ბესო ცხოვრობდნენ ერთად. ბესო უელიდა დედას, მაგრამ, ეს ძალიან უბრალოდ წარმოთქმული სიტყვებია იმისთვის, რომ წარმოიდგინოთ როგორი ურთიერთობა აქვთ დედა-შვილს ერთმანეთთან. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ნაზიკო ლოგინში იწვა, ძალიან სუსტად გრძნობდა თავს, ბალიშიდან თავის აწევაც კი უძნელდებოდა, მაგრამ როცა მიცნო, გახალისებული წამოჯდა, მომეხვია, ჩამიკრა გულში და მკოცნიდა – ოთარი ჩემი ყველაზე საყვარელი დეიდაშვილი იყოო. ბესო იქვე იდგა და დედის ემოციებს აკვირდებოდა. ფიქრობდა, როგორ გაახალისა დედაჩემი ამ ქალის მოსვლამო. მერე გაიგო, რომ მე იზა დეიდა ვიყავი. 12 საათი იყო, ბესომ დედას საჭმელი შემოუტანა, მე ბოდიში მომიხადა, 12 საათზე უთუოდ წამალი უნდა დალიოსო. ნაზიკო მე ვასადილე, 2-3 საათი მანიც დავრჩი მათთან. ეს პერიოდი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, გამეგო რა დიდი სიყვარული აქვს ბესოს დედის მიმართ, როგორი სინაზით ესაუბრება, თვალებში შეჰყურებს და ცდილობს რაიმეთი ასიამოვნოს. ბესოს არა მარტო უყვარს დედა, არამედ სიბრალულს გრძნობს მის მიმართ, სიბერისთვის არ ემეტება, ხედავს, რომ ნელ-ნელა ბერდება მის თვალწინ მისი ერთ დროს ძალიან ლამაზი და ძლიერი ქალი. როგორ გაუთეთრდა თმა, როგორ გაუჩნდა სახეზე ნაოჭები. დედის სიყვარული და სიბრალული ისე შერწყმულა ერთმანეთში, რომ ბესოს თვალებში მუდმივი შიში იგრძნობა – დედამ არ მიატოვოს. სამუშაოზე წასული საქმეს გულს ვერ უდებს, დედას რამე ცუდი არ შეემთხვეს. ნაზიკოს მოთხოვნილებად გადაექცა კიდევ ვნახო, მეც ვასრულებ მის სურვილს. მეორეჯერ უფრო კარგად დამხვდა, ტახტზე იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ბესოს სულ საქმე აქვს, ან სადილს ამზადებს, ან ჭურჭელს რეცხავს, ან ეზოში მუშაობს. ნაზიკოს სახლში ყოველთვის წესრიგი და სისუფთავეა, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. ეს ბესოს დამსახურებაა. ბესოს ნათქვამს ვიმეორებ – იზა დეიდამ დედაჩემს კარგი ფეხი მოუტანა, ცოტა გამოკეთდაო. მეც, ოღონდ ნაზიკომ კარგად იგრძნოს თავი, არც დროს დავიშურებ და არც თბილ სიტყვას, რათა მას სიცოცხლე გავუხანგრძლივო.

ერთ კვირა დღეს ნაზიკომ დამირეკა და მკითხა, დღეს გაკვეთილები ხომ არ გაქვსო? სწორედ მაშინ გაკვეთილს ვატარებდი ერთ მოსწავლესთან. დილის 10 საათი იყო. მთხოვდა მათთან წავსულიყავი. გაკვეთილის შემდეგ წავედი. ბესო სახლში არ დამხვდა, მაგრამ სამაგიეროდ ნაზიკო აივანზე დამხვდა, სკამზე იჯდა, ალბათ მე მელოდა. უზომოდ გაუხარდა ჩემი დანახვა. თვალი მოვავლე ეზოს, აივანს, ერთ კენჭს ვერ ნახავდი ზედმეტს, იქ ყველგან წესრიგი და სისუფთავე სუფევდა. ცოტა შეგვიცივდა და ოთახში შევედით. ღუმელი არ ენთო, მაგრამ ისე მარჯვედ იყო შეშით გამზადებული, მხოლოდ ასანთის ერთი ღერი გაკკარი და მაშინვე აგუზგუზდა მამაპაპური ღუმელი. ნაზიკოსთან ხელცარიელი მივედი, მხოლოდ ერთი ქოთნის ყვავილი მივუტანე და ჩემი დაწერილი ჩანახატები და მოგონებები ჩვენგან წასულებზე. სიამოვნებით მისმენდა ნაზიკო და მის მოგონებებში ცოცხლდებოდნენ აწ გარდაცვლილების სახეები. უცებ ბესო შემოვიდა – აბა, დედი, მითხარ რა მოგიტანოო, ხინკალი მაქვს შეკვეთილი, ტკბილი ან ხილი ხომ არაფერი გინდათო, ტანსაცმელი გამოიცვალა და ძალიან მალე დაბრუნდა. თურმე ნაზიკოს დილით უთქვამს – დღეს შეიძლება იზა ამოვიდესო და აბა შენ იციო. დედის სიტყვა ბესოსთვის კანონია, ოღონდ რამე მოინდომოს და ბესო მაშინვე მზად არის. სუფრა თვითონ გაგვიშალა. კომპოტის ქილა მაგიდაზე იდგა, უკვე გახსნილი, ქალებმა არ იწვალონო, ესეც წინასწარ გაუთვალისწინებია. ერთი სიტყვით ბესომ სიურპრიზი მოგვიწყო, დედას წამალი შეახსენა, არ დაგავიწყდესო, ისევ ჩაიცვა სამუშაო ტანსაცმელი და ტრაქტორით მინდორს მიაშურა, სადაც საძმაკაცო ელოდებოდა.

თეთრი შურით შეგშურდება ნაზიკოსა და ბესოს დედაშვილობას რომ ვუყურებ, როგორ ზრუნავენ ერთმანეთზე, ასეთი დედაშვილობა არც სერიალში მინახავს, არც მხატვრულ ფილმში და არც ცხოვრებაში შევხვედრივარ.

ბესო ჯერ ახალგაზრდაა, იგი ღირსია, რომ თავისი ცხოვრება საყვარელი მეუღლის გვერდით გაატაროს, ერთმანეთს გული გაუთბონ და გაამხნევონ. ეს ნაზიკოსაც გააბედნიერებს და ბესოსაც. ბიძინა ონოფრიშვილისა და ნაზიკო მამულაშვილის გაზრდილი შვილები სხვანაირი ვერ იქნებიან. ისინი დედისგან და მამისგან იღებენ მემკვიდრეობად სულგრძელობას, შრომის დიდ სიყვარულსა და სიკეთეს და დედისთვის თავსაც გასწირავენ.

იზა ცირიკაშვილი

რამდენად ძვირია საბანკო სესხი საქართველოში?



სესხზე სარგებლის განაკვეთის სიდიდე ნებისმიერ ქვეყანაში აქტუალური საკითხია, რადგან პირველ რიგში სწორედ ის განსაზღვრავს კაპიტალის ხელმისაწვდომობას, რის გარეშეც, ფაქტობრივად, შეუძლებელია ახალი ბიზნესის დაწყება, არსებულის გაფართოება. საქართველოში ბევრ ადამიანს მიაჩნია, რომ სარგებლის განაკვეთი მაღალია. ზოგადად, ნებისმიერი მატერიალური თუ აბსტრაქტული საგნის „სიმაღლე“ და „სიდაბლე“ შედარებითია. რადგან მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში საპროცენტო განაკვეთები გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საქართველოში, მოსახლეობის ნაწილს აქვს აღქმა, რომ საქართველოში სესხზე მაღალი პროცენტია. თუმცა, თუ იქვე ვიკითხავთ, რომელ ქვეყნებში? პასუხად მივიღებთ ევროპისა და პლანეტის სხვა ნაწილის განვითარებულ ქვეყნებს. ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ნეტავ მხოლოდ სარგებლის განაკვეთით გვჯობდნენ.

რამდენი უნდა იყოს სესხის სარგებლის განაკვეთი, ამას კაპიტალის ბაზარი განსაზღვრავს, სადაც ერთ მხარეს საკრედიტო რესურსის შემქმნელები დგანან (ისინი, ვინც ფულს ზოგავს), ხოლო მეორე მხარეს – დებიტორები (ისინი, ვინც სესხს იღებს). ბანკი თუ სხვა საკრედიტო ორგანიზაცია არის შუამავალი, დამზოგველის ფული მიაქვს მსესხებლამდე და, ბუნებრივია, ამ მომსახურებაში საფასურს იღებს. მით უმეტეს, რომ ეს სარისკო საქმეა. დამზოგველისგან იღებ ფულს გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ (სარგებელი დეპოზიტზე) და უნდა მონახო ამ ფულის საიმედო მსესხებელი, რომელიც იმაზე მეტს გადაგიხდის, ვიდრე დეპოზიტორს აძლევ. თუ დეპოზიტი ძვირი ღირს, ამ თანხის იაფად გასესხება შეუძლებელი ხდება. სწორედ ეს არის სესხზე საპროცენტო განაკვეთის საფუძველი. შემდეგ მოდის ბანკებს შორის კონკურენციის დონე (ანუ რა მოგებაზეა შესაძლებელი მუშაობა), ქვეყნის პოლიტიკური და მაკროეკონომიკური რისკები, ბაზრის დივერსიფიკაცია, ინფლაციის დონე და ა.შ.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე სამყაროში ბოლომდე თავისუფალი სასესხო ბაზარი თითქმის არ არსებობს, რადგან სახელმწიფოს მიერ რეგულირდება. რეგულირებას ორი მიზანი აქვს: 1. ბანკების სტაბილურობა და 2. მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდა. რეგულირების შედეგად ბანკები შეზღუდული არიან და სრულად ვერ გაასესხებენ მოზიდულ დეპოზიტებს, ვერც მხოლოდ თავისი თვალთახედვით გაანაწილებენ სესხებს და ა.შ. მეორე მხრივ, კომერციულ ბანკებს ეროვნულ ვალუტაში სესხის აღება ეროვნული ბანკიდან შეუძლიათ. აღნიშნული სესხის საპროცენტო განაკვეთი ყოველთვის შედარებით დაბალია და ბანკებს ლიკვიდურობის პრობლემის მოხსნის შესაძლებლობას აძლევს. საქართველოში აღნიშნულ სესხს რეფინანსირების სესხი ჰქვია და მისი მოცულობა მის ფასზეა (პროცენტზე) დამოკიდებული. თუ დაბალ პროცენტში მისცემს ეროვნული ბანკი სესხს კომერციულ ბანკებს, თავის მხრივ, ისინიც უფრო დაბალ პროცენტში მიაწვდიან სესხს მოსახლეობას.

ახლა კი დავუბრუნდეთ მთავარს – კაპიტალის ბაზარს. სწორედ აქ არის იმის მთავარი მიზეზი, რომ საქართველოში სესხის აღება უფრო ძვირია, ვიდრე ევროპის და სხვა განვითარებულ ქვეყნებში. დაბალი სარგებლის განაკვეთებით განვითარებული და ეკონომიკაში ნაკლები პრობლემების მქონე ქვეყნები გამოირჩევიან. 2016 წლის მიხედვით, რუსეთსა და აზერბაიჯანში (ორივე ქვეყანა საქართველოზე მდიდარია კაპიტალით) გაცილებით მაღალი იყო სესხზე პროცენტი, ვიდრე საქართველოში. ეს განპირობებული იყო ამ ქვეყნებში არსებული კრიზისით და გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკით. სხვა შემთხვევაში ეკონომიკის განვითარებასა და დაბალ სარგებლის განაკვეთს შორის დადებითი კორელაციაა.

საქართველოში 16 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს და ყველას აქტივები ერთად, 1 მაისის მდგომარეობით, დაახლოებით $12 მილიარდი იყო. მაგალითად, დანიაში, რომელიც ტერიტორიით საქართველოზე პატარაა და 1.5 მილიონით მეტ მოსახლეს ითვლის, ხუთი ისეთი ბანკია, რომელთა აქტივები 10 მილიარდ დოლარს აღემატება. გერმანული „დოიჩე-ბანკის“ აქტივები 1.7 ტრილიონი ევროა, რაც დაახლოებით 140-ჯერ მეტია, ვიდრე საქართველოს საბანკო სექტორის ჯამური აქტივები. ყველაზე მსხვილი ამერიკული ბანკის JP Morgan-ის აქტივები $2.5 ტრილიონია. მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ბანკი კი ჩინური „ინდუსტრიისა და კომერციის ბანკია“, რომლის აქტივები $3.5 ტრილიონია, ჩვენს საბანკო სექტორზე თითქმის 300-ჯერ მეტი. უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, რაც ადასტურებს, რომ სესხი იქ არის იაფი, სადაც ბევრი გასასესხებელი ფულია.

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში (მაგ, აშშ, ევროკავშირი, იაპონია) სესხის დაბალ პროცენტს ისიც განაპირობებს, რომ ცენტრალურ ბანკებს საკმაოდ დაბალი რეფინანსირების (მონეტარული) განაკვეთი აქვთ – ფაქტობრივად, „უფასოდ“ აძლევენ სესხს კომერციულ ბანკებს. ზოგ შემთხვევაში, თუ ინფლაციასაც გავითვალისწინებთ, რეალური განაკვეთი უარყოფითი გამოდის. მაგალითად, ევროპის ცენტრალურ ბანკს მონეტარული განაკვეთი ამჟამად 0-0.25%-ის ფარგლებში აქვს. აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა მონეტარულ განაკვეთს მაქსიმუმ 1%-ის დონეზე ინარჩუნებს, იაპონიის ცენტრალური ბანკის კი 0-0.1%-ის ფარგლებშია.

ერთია იმ ობიექტური საფუძვლების გარკვევა, თუ რატომ არის საქართველოში უფრო მაღალი სარგებლის განაკვეთები, ვიდრე, მაგალითად, ევროპის მდიდარ ქვეყნებში, მაგრამ საინტერესოა, რა ტენდენციაა თავად სა-

ქართველოს შიგნით. სწრაფად თუ ნელა, საქართველოს ეკონომიკა 20 წელია, იზრდება და ვითარდება. პარალელურად ქართული საბანკო სექტორიც იზრდება და ვითარდება. ამას კი შედეგად მოჰყვა საპროცენტო განაკვეთების შემცირების ნათლად შესამჩნევი ტენდენცია. საპროცენტო განაკვეთების შემცირება მნიშვნელოვნად შეფერხდა 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის დროს. საპროცენტო განაკვეთები თითქმის 2003 წლის დონეს დაუბრუნდა და შეიძლება ითქვას, რომ 2010 წლიდან ბანკებმა ახალი სიცოცხლე დაიწყეს. ლარში გაცემულ სესხებზე განაკვეთი 2007 წლის დონეს 2014 წლიდან ჩამოსცდა, ხოლო დოლარში გაცემულ სესხებზე პროცენტი უფრო სწრაფად მცირდებოდა და 2011 წელს უკვე 2007 წლისაზე დაბალი იყო. 2017 წლის აპრილს თუ 2003 წლის აპრილს შევადარებთ, ლარში გაცემულ სესხებზე განაკვეთი 8.6% პუნქტით, ხოლო დოლარში გაცემულ სესხებზე 14.9% პუნქტით არის შემცირებული.

დოლარში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთის სწრაფი შემცირება პირველ რიგში იმით არის განპირობებული, რომ ბანკებს გასასესხებელი კაპიტალის 60-70% სწორედ უცხოურ ვალუტაში აქვთ. შესაბამისად, მწირია ლარში სესხად გასაცემი რესურსი და ამას თან ერთვის 2015-2017 წლებში ეროვნული ბანკის მიერ გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკა. ლარის კურსის ვარდნისა და ინფლაციის შესაჩერებლად ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების განაკვეთი თანდათანობით 7-8%-მდე გაზარდა, რითაც ბანკებს ხელოვნურად შეუზღუდა ლარში სესხების გაცემა, რამაც დადებითად იმოქმედა ინფლაციასა და ლარის კურსზე, მაგრამ ლარში გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი გაზარდა.

საქართველოში პოპულარულია აზრი, რომ ბანკებს შეეზღუდოს მაღალ პროცენტში სესხის გაცემა ან საიდანღაც გაჩნდეს „იაფი“, „უფასო“ ფული. პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ეს შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ ხელოვნურად (მაგალითად, მთავრობის მიერ) დაბალი საპროცენტო განაკვეთის დაწესება დაღუპავს როგორც საბანკო სექტორს, ასევე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას. ტექნიკურად შესაძლებელია, რომ მთავრობის თანადაფინანსებით შეზღუდული მოცულობით და გარკვეული მიზნით მომხმარებელმა იაფად აიღოს სესხი, მაგრამ ეს მთლიანად საკრედიტო ბაზარზე ვერ გავრცელდება.

საქართველოში საბანკო სესხზე მაქსიმალური პროცენტის დაწესება ქართული საბანკო სისტემის ნგრევას გამოიწვევს. თავად ბანკებს ლარში გრძელვადიანი დეპოზიტები 11.5%-ად, ხოლო დოლარში 5%-ად აქვთ მოზიდული. ეს იმას ნიშნავს, რომ დაბალპროცენტიან სესხს ვერ გასცემენ. მოსახლეობა იაფად კი არ აიღებს ბანკიდან სესხს, არამედ სესხს საერთოდ ვერ აიღებს. დაბალი საპროცენტო განაკვეთები სასესხო კაპიტალის ბაზარზე კონკურენციამ და ეკონომიკის განვითარებამ უნდა მოიტანოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საერთოდ არ არის საჭირო მაქსიმალური განაკვეთის დაწესება, რომ დაბალი განაკვეთები გვქონდეს. ამას ადასტურებს არაერთი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება, სადაც სესხებს კომერციული ბანკები 2-3%-ში ნებაყოფლობით გასცემენ.

გასასესხებელი კაპიტალის ზრდას ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად სჭირდება, რომ მოსახლეობის დაზოგვისადმი მიდრეკილება გაიზარდოს, რითაც ქართველები დიდად არ გამოვირჩევით. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ რაც უფრო მდიდარია ადამიანი (ერი), მით უფრო მარტივად შეუძლია დაზოგოს. ამ მიმართულებითაც დადებითი ტენდენცია გვაქვს. 2010 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული დანაზოგი მშპ-ის 11.6% იყო, 2016 წელს კი 19.4%-მდე გაიზარდა. შედარებისთვის, იაპონიაში 27%-ია, გერმანიასა და დანიაში 28%-ია, შვედეთში 29%, ირლანდიაში, ნორვეგიასა და შვეიცარიაში – 34%, ტაივანში – 36%, სინგაპურში – 44%, ჩინეთში – 46%.

რომ შევაჯამოთ, ასეთი სიტუაციაა: საქართველოში სესხი იაფია მეზობელ ქვეყნებთან შედარებით, ბევრ განვითარებად ქვეყანასთან შედარებით და ის, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობაა, არ ნიშნავს, რომ ჩვენთან სესხი ძვირია. გვაქვს დადებითი ტენდენცია და მეტი უცხოური სასესხო კაპიტალის მოზიდვით, შიდა დანაზოგების ზრდით, შემცირებული ინფლაციის დონით, გაუმჯობესებული მაკროეკონომიკური სტაბილურობითა და საბანკო კონკურენციის ზრდით შეგვიძლია, ძალიან მალე დავეწიოთ პირველ რიგში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და გრძელვადიან პერსპექტივაში – ევროპის უმდიდრეს ქვეყნებს. მთავარია, პროცესებს დაველოდოთ, არ ვიჩქაროთ, არ ვიპოპულისტოთ და გაუაზრებელი რეგულაციებით და შეზღუდვებით მზარდი, სწრაფად განვითარებადი სექტორი არ შევაფერხოთ.

ბესო ნამჩევაძე
forbes.ge

მეცნიერები და ექიმები გვაფრთხილებენ, გვირჩევენ, გვთავაზობენ!

რომელი ხილისა თუ ბოსტნეულის წვენია ყველაზე მეტად სასარგებლო მოზარდისთვის

იშვიათია ბავშვი, წვენი რომ არ უყვარდეს. მაგრამ საინტერესოა, რომელი ხილისა თუ ბოსტნეულის წვენია ყველაზე მეტად სასარგებლო მოზარდი ორგანიზმისთვის. ამის შესახებ პედიატრი ინგა იოსავა გვესაუბრება.

– ახალგამოწურული წვენი ჩვილისთვის ყველაზე მეტად სასარგებლოა და, ეჭვგარეშეა, სჯობია მაღაზიაში ნაყიდ მზა წვენს. როგორ გამოვწუროთ ხილი ისე, რომ წვენმა მაქსიმალურად შეინარჩუნოს ვიტამინები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები?

– წვენის გამოწურვა ორგვარად შეიძლება: ტრადიციულად – სახეხზე გახეხვით და შემდეგ დოლბანდში გაწურვით – და ელექტრონული წვენსაწურით. თანამედროვე ტექნიკის მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ, რომ ხილ-ბოსტნეულის ლითონთან შეხებისას ვიტამინები აქტიურად იშლება, პროგრესის მომხრენი კი საპასუხო არგუმენტს გვთავაზობენ: როდესაც ხილსა თუ ბოსტნეულს თუნდაც პლასტმასის (და არა ლითონის) სახეხზე ვხეხავთ, მერე კი მიღებულ მასას ხელით ვწურავთ, პროდუქტს უფრო მეტხანს უხდება ჰაერთან კონტაქტი, რაც ასევე უკარგავს სასარგებლო თვისებებსო. თანაც ყოველგვარი ხილის გახეხვა ვერ მოხერხდება, – მაგალითად, ციტრუსისა, ალუბლისა.... მეორე მხრივ, ელექტრონვენსაწურის უახლესი მოდელიც კი ვერაფერს უხერხებს ბროწეულს – მისი წვრილი კურკები აპარატს აზიანებს. ამრიგად, ორივე მეთოდს აქვს ნაკლი; სასარგებლო თვისებების დაკარგვა ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალია. ჩვენი ამოცანაა, ეს დანაკარგი მინიმუმამდე დავიყვანოთ.

– როგორ შევარჩიოთ გასაწური ხილი თუ ბოსტნეული?

– კარგ წვენს მხოლოდ ხარისხიანი პროდუქტისგან მიიღებთ. ნუ დაგენანებათ დაზიანებული, დამპალი ვაშლი თუ სტაფილო – გამოწურვა მას სასარგებლო თვისებებსა და სასიამოვნო გემოს ვერ დაუბრუნებს. გამოსაწურად საუკეთესოა საკუთარ ბაღსა თუ ნაკვეთში მოწეული ხილი და ბოსტნეული. უცხოეთიდან შემოტანილი, ასევე ნაადრევად დამწიფებული ხილ-ბოსტნეული ბევრ ნიტრატს შეიცავს – დასაშვებ ნორმაზე გაცილებით მეტს.

– ხილი შევარჩიეთ, წვენიც გამოვწურეთ, მაგრამ როდის და როგორ უნდა დავალევინოთ იგი პატარას?

– ახალგამოწურული წვენის მიცემას თავისი წესები აქვს, რომელთა დაცვა აუცილებელია, რათა წვენმა სარგებლობა

მოუტანოს პატარას. წესი პირველი: წვენი არ უნდა შევურიოთ საკვებს, ანუ არ უნდა მივცეთ ბავშვს ჭამის დროს. უმჯობესია, დავალევინოთ კვებიდან კვებამდე არსებულ შუალედში, თუნდაც ჭამამდე 30 წუთით ადრე. წესი მეორე: ახალგამოწურული წვენი უნდა განვაზაოთ წყლით, თანაფარდობით 1:1. ეს იმიტომ, რომ კონცენტრირებული, განუზავებელი წვენი თრგუნავს კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციას, ხოლო განზავებული, პირიქით, ასტიმულირებს. კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის დაქვეითება კი კუჭის ფერმენტული აქტივობის შემცირებას იწვევს. წესი მესამე: წვენებს მხოლოდ სარგებლობის მოტანა როდი შეუძლიათ – ზოგჯერ მათ ზიანიც მოაქვთ. სხვადასხვა წვენი უკუნაჩვენებია სხვადასხვა დაავადების დროს. აკრძალვები უმთავრესად კუჭ-ნაწლავის (გასტრიტი), თირკმლისა და საშარდე გზების დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის დროს წესდება. ზოგიერთი წვენის მიღება არამც და არამც არ შეიძლება წამლებთან, მაგალითად, ანტიბიოტიკებთან ერთად. არსებობს მონაცემები, რომ გრეიპფრუტის წვენი მედიკამენტის ეფექტზე უარყოფით გავლენას ახდენს. წესი მეოთხე: ბავშვებისთვის, ისევე როგორც მოზრდილებისთვის, არ არის რეკომენდებული უზმოზე მჟავე – ვაშლის, ციტრუსის – წვენის მიღება. მის მაგივრად ჯობს მისცეთ სტაფილოს, გოგრის, გარგარის წვენი ან სხვა ტკბილი წვენების ნარევი. მეხუთე – მეტად მნიშვნელოვანი – წესი: წვენი გამონურვისთანავე უნდა დალიოთ. თუ 30 წუთზე მეტხანს შეინახავთ, იგი დაკარგავს სასარგებლო თვისებების უმეტესობას. ბუნებრივი კონსერვანტია ლიმონის წვენი, ამიტომ თუ მის რამდენიმე წვეთს დაუმატებთ, სასმელი 30 წუთის შემდეგაც შეინარჩუნებს სასარგებლო თვისებებს.

ქრისტესისხლა — სამკურნალო მცენარე

ქრისტესისხლა (ლათ. Chelidonium majus L) მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარეა ყაყაჩოსებრთა ოჯახიდან, სიმაღლით 25-100 სმ.

ქრისტესისხლა აჭარაში ქარცეცხლას, საყვითლოს, ხევსურეთში სისხლა ბალახას, ხოლო რაჭა-ლეჩხუმში ცხენიცოფას სახელით არის ცნობილი.

ღეროს და ფოთლებს მოწყვეტისას ნარინჯისფერი წვენი სდის. მისი ფესვი მთავარღერძაა, დატოტვილი, მოკლე ფესურით.

ღერო სწორმდგომია, შიშველი ფოთლები მწვანე აქვს, ქვემოდან მონაცრისფრო. თითქმის მოპირისპირედ განლაგებული, კენტად ფრთადანაკვთული. ფოთლები უმეტესად მომრგვალოა, არათანაბრად დაკბილული.

ყვითელი ყვავილები ღეროს ბოლოს ქოლგისებრ ყვავილედადაა შეკრებილი. ქოლგა შედგება ოთხი ფართო, კვერცხისებრი ფურცლისაგან.

ნაყოფი ჭოტისებრი ერთბუდიანი კოლოფია, სიგრძით 3-6 სმ-მდე, მრავალი მოშავო-ყავისფერი, პრიალა თესლით. ყვავილობს მაისიდან ოქტომბრამდე, ნაყოფი მწიფდება ივნის-ოქტომბერში. გავრცელებულია ჩრდილიან, ქვიან ადგილებში, მეჩხერ ტყეებში, ხშირად საცხოვრებელი სახლების ახლოსაც გვხვდება, ბაღებში, ბოსტნებში, როგორც წესი იზრდება პატარა კვლებად.

აგროვებენ ქრისტესისხლას მიწისზედა ნაწილებს მისი ყვავილობის პერიოდში. ჭრიან დანით და აცილებენ გაუხეშებულ ნაწილებს. მცენარე შხამიანია, ამიტომ შეგროვების დროს არ შეიძლება ხელებით სახეს ან თვალებს შეეხოთ. ბალახს აშრობენ თხელ ფენად გაშლილს საშრობებში, სხვენებზე, ფარდულებში, რომლებიც კარგად ნიავდება.

იგი პერიოდულად უნდა გადაბრუნდეს. ნედლეული ითვლება გამხმარად, თუ ღერო გადალუნვის დროს გადატყდება და არ მოიხრება. რაც უფრო სწრაფად გაშრება ნედლეული, მით მეტი რძეწვენი დარჩება მასში. გამხმარი ნედლეული უნდა შევინახოთ ნაჭრის პარკში მშრალ, ჰაერიან ადგილას, შენახვის ვადა სამი წელია.

ქრისტესისხლას შემადგენლობაში შედის ალკალოიდები: ბერბერინი, პროტოპინი, ხელიდონინი, ჰემოხელიდონინი, კოპტიზინი, სტილოპინი, ხელერიტრინი, სანგვინარინი, საპონინები, ფლავონოიდები, ასკორბინის მჟავა – ვიტამინი , ორგანული მჟავები: ვაშლის, ლიმონის, ქარვის და სხვა.

ხალხურ მედიცინაში ქრისტესისხლას რძეწვენს ხმარობენ მეჭეჭების, პიგმენტური ლაქების, კოჟრების მოსაშორებლად. წყლულების, ჭრილობების, სირსველის, დანაყარის და კანის სხვა დაავადებების სამკურნალოდ. ნახარშებსა და ნაყენებს იყენებენ, ღვიძლის, ნაღვლის სადინარების დაავადების დროს როგორც ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას. ქრისტესისხლას ნახარშს იყენებენ ცხვირში და ყელში გამოსავლებად პოლიპების დროს.

ქრისტესისხლას წვენი რომ მიიღოთ, 1 სუფრის კოვზ გამხმარ ბალახს დაასხით 500 მლ მდუღარე და დადგით 1 სთ-ის განმავლობაში. შემდეგ გადაწურეთ და მიიღეთ არყის ჭიქით 3-ჯერ დღეში ჭამის წინ.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ ქრისტესისხლა შხამიანი მცენარეა და მისი ნაყენისა და გამონაწვლილის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ინტოქსიკაცია, ადამიანის მოწამვლა (თავბრუსხვევა, გულისრევა, პირღებინება, ფაღარათი). ამიტომ, მისი გამოყენების დროს, საჭიროა დიდი სიფრთხილე და იგი მხოლოდ ექიმის რჩევითა და მეთვალყურეობით უნდა გამოიყენოთ.

ქრისტესისხლას ნაყენის მოსამზადებლად აიღეთ ერთი სუფრის კოვზი

გამხმარი ფოთოლი. მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ (1 ჩაის ჭიქა) ცხელი, ანადუღარი წყალი, დაახურეთ თავზე და მოათავსეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 15 წთ-ით, გააცივეთ ოთახის ტემპერატურაზე 45 წთ, გადაწურეთ, დარჩენილი მასა გამოწურეთ, შეავსეთ მიღებული ნაყენი ანადუღარი წყლით საწყისი მოცულობის (200 მლ) მიღებამდე. შეინახეთ გრილ, ბნელ ადგილას არაუმეტეს 2-3 დღე-ღამისა. მიიღეთ 1/2-1/3 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში ჭამის წინ 15 წთ-ით ადრე.

ქრისტესისხლას წარმატებით იყენებენ სხვადასხვა ანთებითი პროცესების ჩასაქრობად.

ავტორები
ს. ჩაგელიშვილი; მ. გოგორიშვილი

*სამკურნალო მცენარეები გამოიყენეთ ექიმის რეკომენდაციის გათვალისწინებით.

წუწუნის გავლენა ჯანმრთელობაზე

ნეგატიური დამოკიდებულება ადამიანზე უარყოფით გავლენას ახდენს. ალბათ, ძალიან ხშირად შეგხვედრიათ ადამიანი, რომელიც გამუდმებით წუწუნებს და საკუთარ პრობლემებს გიყვებათ. იქნებ, თქვენც ხშირად გაქვთ წუწუნის მიზეზი? მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად უნდა შეეცადოთ, რომ პოზიტიური დამოკიდებულება შეინარჩუნოთ. ადამიანების უმეტესობა გაუცნობიერებლად ჩივის და ამას ყოველგვარი მიზეზის გარეშე აკეთებს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს პრეტენზიები საკუთარ ნეგატიურ გავლენას მთქმელზეც და მსმენელზეც თანაბრად ახდენს.

ეს მავნე ჩვევა ადამიანის ჯანმრთელობაზეც მოქმედებს. დიახ, გამუდმებული ჩივილიც ისევე შეიძლება მავნე ჩვევებს მივაწეროთ, როგორც თამბაქოს ან ალკოჰოლის მოხმარება. ისინი ორგანიზმისთვის მომწამვლელია. ზუსტად ასეთივე ეფექტს იძლევა თქვენი დამოკიდებულება და განწყობა.

ჩივილი მოქმედებს თავის ტვინზე. ტვინი ინახავს ინფორმაციას, აზრებს და ა.შ. სამწუხაროდ, იგი არ არჩევს პოზიტიურ და ნეგატიურ ინფორმაციას და უარყოფითიც გონებაში მარტივად გროვდება.

გამუდმებით ნეგატიურ მდგომარეობაში ყოფნით ზიანდება ნერვული სისტემა. ეს პროცესი თანდათან მიმდინარეობს, ისე რომ მნიშვნელოვან განსხვავებას ვერც შეამჩნევთ. თანაც ორგანიზმი ამ ნეგატიურ ფიქრებს ეჩვევა. ტვინში მრავალრიცხოვანი ნერვული კავშირებია. მათი შეკავშირების ადგილს სინაფსი ეწოდება. ადამიანის თავის ტვინის დიდ ნეირონებს 4-დან 20000-მდე სინაფსი გააჩნიათ. ისინი მეორე ნეირონთან, კუნთთან ან სხვა ორგანოსთან არიან დაკავშირებული, რომელთა საშუალებითაც ხდება აგზნების ან შეკავების გადაცემა.

როდესაც ნეგატიურ აზრს გაივლებთ გონებაში, რომელიმე კონკრეტული სინაფსი აქტიურდება და ელექტრულ იმპულსს გზავნის.

დროთა განმავლობაში ნებისმიერი ნეგატიური აზრის დროს ტვინი თავისთავად აღადგენს ძველ რეფლექსებს და უარყოფითი იდეების გონებაში გავრცელება უფრო ადვილდება. საბოლოოდ, ეს მდგომარეობა ორგანიზმს შიგნიდან ანადგურებს.

უარყოფითი დამოკიდებულების გამო მხოლოდ ნერვული სისტემა არ ზარალდება. ეს გავლენას ახდენს სხეულის სხვა ნაწილებზეც:

• უარესდება გულის და საჭმლის მომნელებელი სისტემის ფუნქციონირება.

• იზრდება დიაბეტის, სიმსუქნის, მაღალი წნევის განვითარების ალბათობა.

• ზოგადად, სუსტდება იმუნური სისტემა.

ნეგატიურ აზრად ითვლება ნებისმიერი სახის კრიტიკა, თუნდაც, ეს სხვისი ჩაცმის სტილი იყოს. დაფიქრდით, იქნებ თქვენს ტვინშიც ბევრია ასეთი უარყოფით აზრი? თუ ასეა, დაუყოვნებლივ უნდა შეცვალოთ ის. მიუხედავად პრობლემებისა, შეეცადეთ ყველაფერს მსუბუქად შეხედოთ და თავად იგრძნობთ, რომ მათი მოგვარება მარტივადაც შეიძლება. ასეთი დამოკიდებულება თქვენს ხასიათზე და ჯანმრთელობაზე პოზიტიურად აისახება.

სარეველას სამკურნალო თვისებები

ამ ერთი შეხედვით უსარგებლო სარეველა მცენარეს მრავალი დაავადების განკურნება შეუძლია.

ჟუნჟრუკი (Stellaria media) ერთწლიანი სარეველა მცენარეა, რომელსაც ხალხურ მედიცინაში უხსოვარი დროიდან იყენებენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მას სხვადასხვაგვარად უწოდებენ: ბოწვა, ბოწოწია, ბოწოწო, ბოწოწუა, ჟრიჭა, კინკა, ნაცარა, ოსური მხალი, ოსურმხალაი, ჯუნჯრუკი, ჯუნჯრუკო, სირისუა, წვრილი მხალაი. მისგან გემრიელ მხალს ამზადებენ.

ამ ერთი შეხედვით უსარგებლო სარეველა მცენარეს მრავალი დაავადების განკურნება შეუძლია.

ხალხურ მედიცინაში ჟუნჟრუკის ყველა ნაწილს იყენებენ, ხოლო მისი გამოყენების სპეკტრი ფართოა.

ჟუნჟრუკით მკურნალობენ ჭრილობებს, ნერვულ აშლილობებს, მას აქვს ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და ანთების საწინააღმდეგო ეფექტი.

ბევრმა არ იცის, რომ ჟუნჟრუკს ნედლეულის სახით იყენებენ გულის, თირკმელების, მხედველობის, ჰემოგლობინის ამაღლების და სიმსივნეების გაწოვისთვის გამიზნული სამკურნალო პრეპარატების დამზადებისას.

ჟუნჟრუკი ვიტამინებისა და სასარგებლო ნივთიერებების ნამდვილი საბადოა. ის შეიცავს ეთერზეთებს, ლიპიდებს, ორგანულ მჟავებს, კაროტინს, მთრიმლავ ნივთიერებებს, საპონინებს, მიკროელემენტებს – მაგნიუმს, სპილენძს, რკინას და სხვა.

ჟუნჟრუკი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ:

• სისხლნაკლებობა, ავიტამინოზი, სურავანდი

• დადებითად მოქმედებს გულის მუშაობაზე, აძლიერებს ორგანიზმს და არის მატონიზირებელი საშუალება

• ბალახს იყენებენ, როგორც ანთების საწინააღმდეგო, ნაღვლმდენ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებას

• ჟუნჟრუკს შეუძლია სისხლდენის შეჩერება და ჭრილობის შეხორცებაში დახმარება

• აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, ასტიმულირებს გულ–სისხლძარღვთა და კუჭ–ნაწლავის სისტემების მუშაობას

• დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე

• კარგი საშუალებაა ჰიპერტონიის სამკურნალოდ

• გამოიყენება გინეკოლოგიური პრობლემებისას

• მცენარის მეშვეობით შესაძლებელია ტკივილის შემსუბუქება რადიკულიტის, ართრიტის, რევმატიზმის, პოდაგრის დროს

• გამოიყენება კანის დაავადებებისას

• იყენებენ ღვიძლის, ფილტვების დაავადებებისას

• ზრდის სისხლში ჰემოგლობინის დონეს

• მისგან ამზადებენ ნაყენს თვალში ჩასაწვეთებლად

• გამოიყენება ლაქტაციის დროს

• მიომის, კისტის, ეროზიების სამკურნალოდ

• გამოიყენება უძილობისას

ჟუნჟრუკის ნაყენი ამგვარად მზადდება:

1 სუფრის კოვზ ჟუნჟრუკს დავასხათ 1 ჭიქა მდუღარე წყალი. დავაფაროთ და დავტოვოთ ღამის განმავლობაში. შემდეგ გადავწუროთ. ნაყენი გამოიყენება ჭამამდე მეოთხედი ჭიქის ოდენობით.

ჟუნჟრუკის ნახარშის დამზადების წესი:

აიღეთ ახალი ბალახი – 300 გრამი, დააქუცმაცეთ და დაასხით 1 ლიტრი მდუღარე წყალი, ადუღეთ დაბალ ცეცხლზე 10 წუთი. როცა გაგრილდება ოთახის ტემპერატურამდე, გადაწურეთ.

ძაღლის ქართული აბორიგენული ჯიშები

ცხოველთა აბორიგენული ჯიშების ჩამოყალიბება ხორციელდებოდა ბუნებრივი გადარჩევითა და ხალხური სელექციით, ძირითადად სტიქიურად.

აბორიგენული ჯიშის ცხოველები ხასიათდებიან გარკვეულ კლიმატურ პირობებთან კარგი შეგუებულობით, ამტანობით, სხეულის აგებულების სიმაგრით, უნივერსალური სამუშაო და პროდუქტიული თვისებებით.

კავკასიური ნაგაზი, (ქართული ნაგაზი), ქართული მთის ძაღლი და ერთადერთი ქართული სანადირო ძაღლის ჯიში, მყეფრების ჯგუფიდან – მეკვერნე (ჩაქირა), მეგრული და თუშური ცხენი, ხევსურული ძროხა, იმერული და თუშური ცხვარი, მეგრული თხა, ქართული ფუტკარი ჩვენი წინაპრების მიერ საუკუნეთა მანძილზე გამოყვანილი აბორიგენული ჯიშებია, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან კავკასიელი მეზობლების მიერ გამოყვანილი ჯიშებისაგან.

ქართული ნაგაზი

ქართველი ტომების – ხეთებისა და სუბარების მიერ შექმნილი უძველესი ჯიშის ძაღლი პირველად გერმანელმა მკვლევარმა, ზოოლოგმა მიულერმა XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოს მთიანეთში აღწერა. იგი შეხვედრია ჯიშის იშვიათ წარმომადგენელს, რომლის სიმაღლე 85 სმ-ს აღწევდა.

იმავე საუკუნის ბოლოს ქართული ჯიშის ძაღლს, რომელსაც დასაბამიდან ნაგაზი ეწოდებოდა, რუსმა „კინოლოგებმა“ „კავკასკაია ოვჩარკა“ უწოდეს და სახელწოდება მსოფლიო კინოლოგიურ საზოგადოებებში გაავრცელეს, რაც ოფიციალურად XX საუკუნის დასასრულისთვის (1990წ.) დაუმკვიდრეს საერთაშორისო კინოლოგიურ ფედერაციაში (ჩI) დამტკიცებული სტანდარტით.

სულხან-საბა ორბელიანი „სიტყვის კონაში“ ძაღლს შემდეგნაირად განმარტავს: „ძაღლთა და მხეცთა მამალსა ხვადი და დედალსა ძუ და შვილთა მათთა ლეკვი ეწოდებიან; დიდსა ძაღლსა, მიდამოს მცველსა – თართი; სწრაფსა და გვარიანსა – მწევარი; მწევრისგან და თართისგან შობილსა – ნაგაზი; თუმცა ნაგაზი მგლისა მიერ იშობა, იგი უმჯობესია“ სიტყვა „ნაგაზი“ ქართული წარმოშობისაა და მგლის მგუდავ, მახრჩობელას ნიშნავს, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებში ამ სიტყვის განმარტება არ არსებობს.

ჯიშის წარმოშობის უამრავი ვერსიიდან ერთი – ერთის თანახმად იგი წარმოიშვა ტიბეტური მასტიფისგან, რომელიც კავკასიის ტერიტორიაზე მეომრებმა და ვაჭრებმა 2000 წლის წინ შემოიყვანეს. ქართველი მეცნიერების (ბოლქვაძე, ციციშვილი) მიხედვით, საქართველოში მოშენებული „კავკასიური ნაგაზი“ – ქართული მეცხვარულა – დამოუკიდებელი ჯიშია, რომელიც უძველესმა ქართველურმა ტომებმა ხალხური სელექციით შექმნეს.

შედეგად ჩამოყალიბდა შიდაჯიშური ტიპები და ქვეტიპები, რომლებიც გავრცელდა მთელ კავკასიაში. განსხვავებები შეინიშნება ამიერკავკასიის ქვეყნების ნაგაზებს შორის.

როგორც რუსი კინოლოგი ა.პ. მაზოვერი აღნიშნავს: „საუკეთესო კავკასიური ნაგაზები გავრცელებულია საქართველოს რესპუბლიკაში“ ძაღლები გამოირჩევა მასიური ძვალეულითა და ზომებით. კონსტიტუციის ტიპი – მაგარი ან უხეშია, თავი სტანდარტულია, ერთფერი შეფერვა და გრძელი ბეწვი ძაღლს ლამაზ იერს აძლევს, ფორმატის ინდექსი ცვალებადობს 104 – 108-მდე.

ქართულ კავკასიურ ნაგაზებში განარჩევენ გერგეთულ, გერბენულ, ყაზბეგურ და ახალციხურ ტიპებს.

აზერბაიჯანის ტერიტორიაზე განარჩევენ ორი ტიპის კავკასიურ ნაგაზებს: 1) მთიან რეგიონებში გავრცელებული ქართული ტიპის მსგავსია; 2) სტეპის რეგიონებში გავრცელებული, მაგარი-მშრალი კონსტიტუციის მქონეა, შედარებით მაღალი კიდურებითა და ვიწრო, მოგრძო თავით, მოკლე ბეწვით.

აზერბაიჯანში გავრცელებული ძაღლებისათვის დამახასიათებელია მწითური შეფერვა მუქი ნიღბით. ფორმატის ინდექსი მთიანი რეგიონის ძაღლებისათვის ქართული ტიპის მსგავსია, ხოლო სტეპის რეგიონებისათვის შეადგენს 100 – 102-ს.

სომხეთის რესპუბლიკაში გავრცელებული ძაღლებიც ქართული ტიპის მსგავსია, თუმცა შედარებით მცირე ზომისაა და სუსტი ძვალეულით. ფორმატის ინდექსია 102 – 105. დამახასიათებელი შეფერილობაა ერთფერი რუხი და ნაბლა, გვხვდება ვეფხვისებური და ლაქებიანი.

დაღესტნის ნაგაზები მაგარი – უხეში კონსტიტუციით ხასიათდებიან. მკვრივი და სტეპის რეგიონებში გავრცელებული აღნაგობით. გამოირჩევიან შედარებით მოკლე ბეწვით და ლაქებიანი შეფერვის (35%) სიჭარბით.

დღესდღეობით, აბორიგენული კავკასიური ძაღლების უმრავლესობა არ არის ხალასჯიშიანი და მათ გამოყენებას სანაშენე საქმეში სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ.

ქართული მთის ძაღლი

ქართული მთის ძაღლიც საქართველოს მთიან რეგიონში წარმოიშვა და გავრცელებულია სრულიად საქართველოში, სვანეთისა და სამცხის გარდა. ჯიშის სტანდარტი შემუშავდა საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის () მიერ და გამოქვეყნდა 2000 წლის 1 ივნისს.

ქართული მთის ძაღლი კავკასიურისაგან განსხვავებით ხასიათდება მხოლოდ უხეში კონსტიტუციის ტიპით, მინდაოში სიმაღლის სიმცირით (2-3 სმ.), ბეწვოვანი საფარველის სიმოკლით, შეფერვის ნებისმიერი კომბინაციებით.

სტანდარტით დასაშვებია კბილთა (2 და 3) ნაკლებობა, რაც კავკასიურისთვის ნაკლად ითვლება; კუდის კუპირება ხორციელდება საწყისი სიგრძის ნახევრამდე (კავკასიურ ნაგაზში სტანდარტულად კუდის კუპირება დაუშვებელია).

ჯიშის წარმომადგენლები ათეულ წელზე მეტია მონაწილეობენ საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის მიერ ორგანიზებულ კავკასიური ნაგაზებისა და ქართული მთის ძაღლების ეროვნულ გამოფენებში.

მიუხედავად იმისა, რომ ჯიში საკმაოდ პოპულარულია საქართველოში, ამიერკავკასიაში, უკრაინასა და რუსეთშიც, მას ჯერჯერობით არ აღიარებენ საერთაშორისო არენაზე. გამოფენებზე მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები ცდილობენ არ იმსაჯონ ქართული მთის ძაღლის რინგზე, რადგან ჯიშის სტანდარტი არ არის აღიარებული საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის (ჩI) მიერ.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ჯიშის წარმომადგენლების ინდივიდუალური გადარჩევა, საუკეთესო ხაზებისა და ოჯახების გამოვლენა, რის საფუძველზეც მოხდება ჯიშის ექსტერიერული სრულყოფა და მიზანმიმართული მოშენება, შედეგად კი – დამსახურებული ადგილის მოპოვება კინოლოგიური სამყაროს წარმომადგენელთა რიგებში.

ქართული სანადირო ძაღლი

მეკვერნე ანუ ჩაქირა, ერთადერთი ქართული სანადირო ძაღლის ჯიშია, რომელიც დასავლეთ საქართველოში წარმოიშვა, კერძოდ გურიასა და აჭარის მაღალმთიან რაიონებში. გავრცელებულია ტაო – კლარჯეთის ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია.

ნადირობის უნარ – ჩვევებიდან გამომდინარე მეკვერნე მიეკუთვნება მყეფრების ჯიშურ ჯგუფს, თუმცა შეინიშნება გარეგნული განსხვავებები.

ჯიში ხასიათდება სოლისებური ფორმის თავით, სწორმდგომი ყურებით, მოკლე კისრით, სწორი და პარალელური კიდურებით, ტანად პატარა (მინდაოში სიმაღლე 45–50 სმ.), დაფარულია ყავისფერი უხეში ბეწვით, თეთრი წინწკლები განლაგებულია მკერდზე, მუცელზე, კიდურებზე. კუდის ბოლო თეთრია.

განსაკუთრებული ნიშანია თეთრი ზოლისებური საყელო კისერზე. თვალები ცბიერი და ავი გამომეტყველების, რომელთაც ხშირად მონითალო ფერი აქვთ, რაც სიავის ნიშნად მიიჩნევა.

მეკვერნე გამორჩევა უცხოთადმი მიუნდობლობით, ბრწყინვალე ზეყნოსვის უნარით და შეუპოვრობით, და გამოიყენება კვერნასა და გარეულ კატებზე სანადიროდ.

ნადირობისას მეტად აზარტულია, რისთვისაც განსაკუთრებულ დაგეშვას არ საჭიროებს, რადგან მასში საუკუნეთა განმავლობაში გენეტიკურადაა განმტკიცებული სანადირო მონაცემები.

კვალის აღებისას რამდენიმეჯერ დაიყეფებს და შემდგომ უხმოდ და დაუღალავად დევნის, ყეფას ნადირის დანახვისას იწყებს. შველზე, ირემსა და სხვა ჩლიქოსნებზე მეკვერნე მშვენივრად ნადირობს, იგი სწრაფად ეწევა და აფერხებს მათ მოძრაობას.

მაჩვზე, ტახსა და დათვზე სანადიროდ მეკვერნის გამოყენება არაეფექტურია, რადგან ძაღლი მეტად აგრესიულია, უშიშარი, არ უფრთხის და შეტევაზეც პირდაპირ გადადის, რაც ხშირად სიკვდილით თუ არა მძიმე ტრამვებით სრულდება.

ორი ან სამი ძაღლი გაცილებით ეფექტურად მუშაობს. ძაღლს გააჩნია თავისი ნაკლოვანებებიც, რაც მისი არასწორი აღზრდითა და ცუდ პირობებში შენახვით აიხსნება.

გადაჭარბებული სიავის გამო ჩაქირას დაბმულს ან გალიაში დამწყვდეულს ინახავენ, რაც კიდევ უფრო აავებს. თუ მეკვერნე დაიგეშება სწორი მეთოდებით, მისი სანადიროდ გამოყენება ბევრად ეფექტური იქნება. აღსანიშნავია, რომ მეკვერნესა და მდევრის, ან მყეფრის ნაჯვარები უკეთესი სანადირო მონაცემებით ხასიათდებიან, ვიდრე მათი მშობლები.

სამწუხაროა, რომ ასეთი უნივერსალური სანადირო თვისებების მქონე ძაღლის ჯიში დღეს თითქმის გადაშენებულია. მავნე ტრადიციის გამო ძნელი იყო მეკვერნე ძაღლის შოვნა, რადგან ფასის ანევის მიზნით ძუ ძაღლის მფლობელები ლეკვების დიდ რაოდენობას ხოცავდნენ და ცოტას ზრდიდნენ.

შედეგად ადგილი ჰქონდა ინბრიდინგს, რაც ჯიშზე დამაკნინებლად მოქმედებდა. ჯიშისთვის სტანდარტი არ არის შემუშავებული, რადგან საქართველოში ხალასჯიშიანი რამოდენიმე (15-20) ინდივიდიღაა შემორჩენილი.

ამიტომ, დღესდღეობით მთავარი ამოცანაა ძაღლების რაოდენობის გაზრდა, ჯიშის სტანდარტის დადგენა და პოპულარიზაცია. აუცილებელია „სისხლის განახლების“ მიზნით თურქეთიდან მოხდეს გარკვეული სულადობის შემოყვანა და ჯიშზე სანა-შენე მუშაობის ორგანიზება.

ჯიში ძვირფასია სელექციური სამუშაოების ჩატარების თვალსაზრისითაც. მხოლოდ საკითხისადმი სწორი და მეთოდური მიდგომითაა შესაძლებელი ერთადერთი ქართული სანადირო ძაღლის ჯიშის გადარჩენა, რომელიც სრული უყურადღებობის მიუხედავად ჯერჯერობით არ გადაშენდა.

ევროპის იმუნიზაციის პვირეული
აცერი და დაიცავი!
პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი



დროული და სრულყოფილი ვაქცინაციით დაიცავით თქვენი შვილების სიცოცხლე და ჯანმრთელობა!

იმუნიზაცია მედიცინის უდიდესი მიღწევაა. იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა უზრუნველყოფს ეროვნული კალენდრით გათვალისწინებული 12 დაავადების საწინააღმდეგო ვაქცინაციას. ეს დაავადებებია: ტუბერკულოზი, B ჰეპატიტი, დიფთერია, ყივანახველა, ტეტანუსი, პოლიომიელიტი, ჰემოფილუს ინფლუენცა ტიპი b, წითელა, წითურა, ყბაყურა, როტავირუსული და პნევმოკოკური ინფექციები.

ასევე, **2017 წლიდან ქალაქებში თბილისსა და ქუთაისში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში დაიწყო 2008-2009 წლებში დაბადებული გოგონების ადამიანის პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ორჯერადი ვაქცინაცია.**

აცერი და დაიცავი!

ვაზის წამლოგათა სქემა ბიო (ორგანული) მეურნეობისთვის

I წამლობა. კვირტების დაბერვისა და გაშლის ფაზაში სავარაუდოდ მარტის ბოლო – აპრილის I დეკადა, კვირტის ჭიისა (ბუკნა) და ტკიპების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე – ტურინგენი 3-4 ლიტრი+ ლეპიდინი 3-4 ლიტრი.

ნიადაგის განოყიერება საჭიროების მიხედვით – ორგანიკა 25-50 ლიტრი (მოსხურებით, ცალკე გახსნილი 400-500 ლიტრ წყალში).

II წამლობა. როდესაც პირველი ორი ფოთოლი მიაღწევს ნორმალური სიდიდის 2/3 –ს სავარაუდოდ მაისის I-II დეკადა, ჭრაქის წინააღმდეგ, I %-იანი ბორდოს ნარევის ან სხვა კონტაქტური მოქმედების სპილენძის შემცველი პრეპარატებით, შესაბამისი.

III წამლობა. ყვავილედებზე კოკრების განცალკევების ფაზაში (ბუტონიზაცია) სავარაუდოდ მაისის II – III დეკადა, მეორე წამლობიდან 7-10 დღეში, ჭრაქის, ნაცრის, ტკიპების და ყურძნის ჭიის I თაობის მატლების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე – 1 %-იანი ბორდოს ნარევი ან სხვა კონტაქტური მოქმედების სპილენძის შემცველი პრეპარატით +0.5 %-იანი თიოვიტ-ჯეტა (გოგირდი) + 3 ლიტრი ტურინგენი + 3 ლიტრი ლეპიდინი .

IV წამლობა. ყვავილობის ფაზაში, სავარაუდოდ ივნისის I დეკადა, მესამე წამლობიდან 7-9 დღეში, ჭრაქის, ნაცრის და ყურძნის ჭიის მატლების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე ფიტოკატენა 8 – 10 ლიტრი + ლეპიდინი 5 ლიტრი.

V წამლობა. გამოხორბვლის ფაზაში სავარაუდოდ ივნისის II-III დეკადა მეოთხე წამლობიდან 7-9 დღეში, ჭრაქის, ნაცრისა და ყურძნის ჭიის II თაობის მატლების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე – 1% – იანი ბორდოს ნარევის ან სხვა კონტაქტური მოქმედების სპილენძის შემცველი პრეპარატით + 0.5-0.7% – იანი თიოვიტ-ჯეტა (გოგირდი) + ორგანიკა – 0.5%-იანი + ლეპიდინი 5 ლიტრი.

VI წამლობა. ისვრიმობის ფაზაში სავარაუდოდ ივლისის I-II დეკადა, მეხუთე წამლობიდან 7-9 დღეში, ჭრაქის,ნაცრის და ცრუფარიანების მოხეტიალე მატლების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე – 0.5 – 0.7%-იანი თიოვიტ-ჯეტა(გოგირდი) + ფიტოკატენა 8 ლიტრი + აგროკატენა 10 ლიტრი + ტურინგენი 6 ლიტრი.

VII წამლობა. მარცვლების დამსხვილების ფაზაში, სავარაუდოდ ივლისის II-III დეკადა, მეექვსე წამლობიდან 7-10 დღეში, ჭრაქის, ნაცრის, და ყურძნის ჭიის III თაობის მატლების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე – 1 %-იანი ბორდოს ნარევი ან სხვა კონტაქტური მოქმედების სპილენძის შემცვლელი პრეპარატით + 0.5-0.7% თიოვიტ-ჯეტა(გოგირდი) + ლეპიდინი 5 ლიტრი.

VIII წამლობა. შეთვალების დასაწყისში სავარაუდოდ ივლისის ბოლო აგვისტოს I დეკადა, წინა წამლობიდან 7-10 დღეში. ჭრაქის,ნაცრის, და ყურძნის ჭიის მატლების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე ფიტოკატენა 6 ლიტრი +ბიოკატენა 10 ლიტრი +ლეპიდინი 5 ლიტრი.

IX წამლობა. სიმწიფეში შესვლის ფაზაში სავარაუდოდ აგვისტოს II დეკადა, წინა წამლობიდან 7-10 დღეში, ნაცრის, სიდამპლეების და ყურძნის ჭიის მატლების წინააღმდეგ.

ყოველ ერთ ჰექტარზე – ფიტოკატენა 6 ლიტრი + ბიოკატენა 6 ლიტრი + ლეპიდინი 4 ლიტრი.

მნიშვნელოვანია!

მცენარეზე პრეპარატების კარგად გადანაწილებისა და შენარჩუნებისათვის სასურველია ყოველ 100 ლიტრ გამოყენებულ წყალს დაემატოს 50-80 მლ. მიმწებებელი მულტიმასტერი

შენიშვნა 1: წამლობებს შორის პერიოდი მოცემულია ვაზის განვითარების ფენოფაზების მიხედვით, მაგრამ კლიმატური პირობების გათვალისწინებით მათ შორის ინტერვალი შიძლება შემცირდეს ან პირიქით, თითოეულ შემთხვევაში კომპანია ბიოაგროსთან ურთიერთკონსულტაციის საფუძველზე.

შენიშვნა 2: სქემაში მოცემული კონტაქტური სპილენძის შემცველი პრეპარატი – ბორდოს ნარევი და გოგირდიანი პრეპარატი – თიოვიტ-ჯეტა შესაძლებელია ჩანაცვლებული იქნეს სხვა კონტაქტური ანალოგიური დანიშნულების პრეპარატებით (კოსაიდი, კუპერმაქსი, ნეორამი, ირონკო. კუპროქსატი, კუპროფლო და სხვა).

გამოყენებული ბიოლოგიური საშუალებები: თხევადი ორგანული სასუქი ორგანიკა, ბიოკატენა, ფიტოკატენა, აგროკატენა, ლეპიდინი, ტურინგენი.

გამოყენებული ბიოლოგიური საშუალებების შესახებ და სხვა დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გადადით ბმულზე: http://bioagro.ge

**ტრადიციული მევენახეობიდან ორგანულზე გადასვლას სჭირდება სპეციალური სქემა, ამ საკითხზე კონსულტაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრს „ბიოაგრო“.*

მიღწეული წარმატებები სწორად დაგეგმილი სასწავლო-საწვრთნო პროცესისა და მწვრთნელთა დაუღალავი შრომის შედეგია

დასაწყისი 1-ელ გვ. -ზე

ჭიდაობაში და მოიპოვა ლიცენზია ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობისთვის, დღეს ზურაბ იაკობიშვილი მსოფლიო ჩემპიონია. მის კვალს მისდევენ ასევე ახალგაზრდა სპორტსმენებიც თავისუფალი სტილით ჭიდაობაში. გამოვყოფ რამდენიმე მათგანს: დათო ქაქალაშვილს, ბესიკ სეფაშვილს, ბექა ურჯუკელაშვილს, ფათა მალამგამედოვას, ნიკა ქებაძეს, დავით ჭონაშვილს, გიგი იოსებაშვილს, გიორგი დოლმაზაშვილს, მიხეილ ბერძენიშვილს, ნიკოლოზ ტურაშვილს, დათო მამანიშვილს, თორნიკე ასაბაშვილს, ნიკოლოზ ბუშელაშვილს, კრივში ბრინჯაოს მედლის კავალერს გიორგი ლაფერაშვილს, რომელიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი გახდა. გასული წლის სპორტული მიღწევების შესახებ შეჯამების ერთგვარი გაანალიზება ვთხოვეთ სასპორტო სკოლის დირექტორს ბატონ ლევან მირიანაშვილს.

– ბატონო ლევან, ვფიქრობ უფრო მეტი თქმის საშუალება თქვენ გეკუთვნით, როგორც სასპორტო სკოლის დირექტორს, მწვრთნელ-მასწავლებელს, რამეთუ თქვენ უფრო ახლოს ხართ მათთან, იზიარებთ მათ ჭირსა თუ ვარამს, ბედსა თუ უიღბლობას. როგორი იყო გასული წელი ჩვენი სპორტსმენებისთვის, როგორ ფიქრობთ, როგორ მოდის ასეთი მიღწევები?

– თქვენ მართალი ბრძანდებით, ეს მცირე ჩამონათვალია, რაც ჩვენმა სპორტსმენებმა მიაღწიეს ბოლო წლებში. წინა წლებზე აღარ ვისაუბრებ, მოგახსენებთ მხოლოდ 2017 წლის შედეგებზე.

თავისუფალ ჭიდაობაში მესამედ გახდა საქართველოს ჩემპიონი ზურაბ იაკობიშვილი, ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ევროპის ჩემპიონატზე, მოიგო ვარშავის საერთაშორისო ტურნირი და პარიზში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე გახდა პლანეტის უძლიერესი მოჭიდავე თავის წონაში.

იგივე სახეობაში ქვეყნის ჩემპიონი გახდა რობერტ დინგაშვილი, მანვე ევროპის ჩემპიონატზე მეორედ მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. საქართველოს ჩემპიონატზე სხვადასხვა ასაკში ფინალური შეხვედრები დათმეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს მირზა გაჯიევმა და მაგამედ საიდოვმა, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა რამაზან მალაკოევი. ილია დენტოშვილმა მოიგო აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირი, ამავე ტურნირზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ზაგირ მაგამედოვმა, ხოლო შამილ გაჯიევმა ვერცხლის მედალი მიიღო ლერი ხაბელოვის საერთაშორისო ტურნირზე.

კრივში საქართველოს ჩემპიონი გახდა იოსებ ჭუნიაშვილი. ამავე სახეობაში ვერცხლის მედალი მოიპოვა გიორგი ლაფერაშვილმა.

ხელბურთელი გოგონები მეორედ გახდნენ ქვეყნის ჩემპიონები. მათვე ზედიზედ მესამედ მოიპოვეს ქვეყნის ჩემპიონობა პლიაჟის ხელბურთში.

აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენი გუნდის ერთი ხელბურთელი ქეთევან კუნელაშვილი კონტრაქტით მიიწვიეს ესპანეთის უძლიერეს გუნდში „ბარსელონაში“ და წარმატებით გამოდის მის შემადგენლობაში, ხოლო მეორე თინიკო ქიტესაშვილი აზერბაიჯანის ჩემპიონის ღირსებას იცავს ასევე წარმატებით. სპორტის სხვადასხვა სახეებში გვყავს ბევრი პერსპექტიული სპორტსმენი, რომლებიც გამოცდილ მწვრთნელებთან იმაღლებენ სპორტული ოსტატობის დონეს და იმედია



საქართველოს 2017 წლის ჩემპიონი, ორგზის ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი თავისუფალ ჭიდაობაში რობერტ დინგაშვილი

უახლოეს მომავალში ისინიც იბრძოლებენ უმაღლესი ხარისხის მედლებისათვის.

მიღწეული წარმატებები სწორად დაგეგმილი სასწავლო-საწვრთნო პროცესისა და მწვრთნელთა დაუღალავი შრომის შედეგია.

– როგორი ხელშემწყობი პირობებია შექმნილი დღეს სასპორტო სკოლაში, თუ აკმაყოფილებს იმ პირობებს რაც სპორტსმენისთვის აუცილებელს წარმოადგენს?

– დღეისათვის სასპორტო სკოლაში შექმნილი პირობები აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია სასწავლო საწვრთნო პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის, თავისუფალი ჭიდაობის დარბაზში მოწყობილი გვაქვს სატრენაჟორო ოთახი, ძიუდოსა და კრივის დარბაზებში ძალაზე სავარჯიშო იარაღები, თუმცა განვიცდით სპორტული ინვენტარის ნაკლებობას: კერძოდ გვაკლია ხელბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის ბურთები, მოგვიძველდა კრივის სავარჯიშო ტომრები და ხელთათმანები, სავარჯიშო ლაპები და სხვა.

2018 წლისათვის სპორტულ ინვენტარზე გამოყოფილი გვაქვს 1500 ლარი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ერთი ბურთი 60-დან 100 ლარამდე, ხოლო კრივის ერთი ტომარა 160 ლარზე ნაკლები არ ღირს, დამეთანხმებით, რომ ეს თანხა ძალიან მცირეა.

– რამდენი სახეობის სპორტი ფუნქციონირებს სასპორტო სკოლაში.

– დღეისათვის სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს სპორტის 9 სახეობა: ქართული ჭიდაობის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, ხელბურთის – როგორც ვაჟთა ისე გოგონათა ჯგუფები, ფრენბურთის ვაჟთა, კალათბურთის ვაჟთა, კრივის, ჭადრაკისა და კარატეს ჯგუფები.

ჯგუფები გახსნილი გვაქვს შილდაში – თავისუფალი ჭიდაობის და ძიუდოსი, გრემში ძიუდოს, საბუეში – ფრენბურთის, სანავარდოში, გავაზში და ჭიკაანში ძიუდოს, ახალსოფელში – ძიუდოს და კრივის, ყვარელში – თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ძიუდოს, ხელბურთის, კრივის, კალათბურთის და კარატეს ჯგუფები, მათში გაერთიანებულია 700-მდე პერსპექტიული მოზარდი.

– რამდენადაა დაინტერესებული ახალგაზრდობა და უფრო რა სახეობის სპორტი იტაცებთ?

– ბოლო ხანს ახალგაზრდების სპორტით დაინტერესება გაიზარდა, ჩემი აზრით ეს ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ თქვენს გაზეთში სისტემატურად იბეჭდება ჩვენი სპორტსმენების წარმატებები მსოფლიო, ევროპის და ქვეყნის ჩემპიონატებზე. გარდა ამისა მწვრთნელები ხშირად შედიან საჯარო სკოლებში, არჩევენ პერსპექტიულ მოზარდებს, ესაუბრებიან სახელოვანი სპორტსმენების მიღწევებზე, მათ ისტორიებზე და იმ სიკეთეზე, რაც შეიძლება მოუტანოთ მათ სპორტში ჩაბმამ ცხოვრებაში. დღეისათვის ყველაზე მეტი წარმატებები გვაქვს თავისუფალ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ხელბურთსა და კრივში, სწორედ ამ სახეობებით უფრო მეტად ინტერესდებიან რაიონის მოსწავლე ახალგაზრდები.

საქართველოს 2017 წლის ჩემპიონი კრივში იოსებ ჭუნიაშვილი.

საქართველოს სამგზის და მსოფლიოს 2017 წლის ჩემპიონი ზურაბ იაკობიშვილი

– თუ არის სათქმელი სკოლაში არსებული პრობლემების შესახებ?

– ალბათ არც ერთი სამსახური თუ დაწესებულება არ იქნება ისე, რომ რაღაც პრობლემები არ ჰქონდეთ, ბუნებრივია სასპორტო სკოლასაც აქვს თავისი პრობლემები – კერძოდ: 8 წელიწადია სასპორტო სკოლას არ ჩატარებია მიმდინარე რემონტი, შენობის გარე ფასადის კედელზე ორ ადგილზე ჩამოიშალა ნალესი მასა, ფეხბურთის თამაშის დროს დაზიანდა და გამოცვლას საჭიროებს სპორტული თამაშების დარბაზის ორი კარები, გათბობის წერტილების დასაცავად ჩაფიქრებული გვაქვს ლითონის კონსტრუქციის ბადეების დაყენება, ზაფხულის პერიოდში სპორტსმენთა მშობლებისა და მწვრთნელთა უკმაყოფილებას იწვევს სკოლის ეზოში გაჩერებული ნაგვის მანქანები. მომავალი წლიდან გვინდა ჭიკაანისა და გრემის ძიუდოს დარბაზებში შევიყვანოთ ბუნებრივი აირი გათბობისათვის, ჭიკაანის ძიუდოს დარბაზში გამოსაცვლელი გვაქვს იატაკის ნაწილი და ბოლოს, პრობლემაა სკოლის თანამშრომელთა დაბალი ხელფასები.

– სპორტსმენების წარმატება ბევრად არის დამოკიდებული მწვრთნელთა კვალიფიციურობაზე...

– გეთანხმებით, ამ კუთხით მინდა გითხრათ, რომ სკოლის მწვრთნელთა 50 პროცენტი ლიცენზირებულია და მიღებული აქვთ სერთიფიკატები. სასპორტო სკოლას სისტემატური კომუნიკაცია აქვს სპორტულ ფედერაციებთან, ისინი პერიოდულად სემინარებზე უხსნიან მწვრთნელებს სპორტის სახეობებში არსებულ სიახლეებს. ამდენად ჩვენი მწვრთნელები სისტემატურად იმაღლებენ ცოდნის დონეს.

– სპორტულ-გამაჯანსაღებელი ახალი სახეობების შემოღებას თუ ფიქრობთ?

– ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, გამიჭირდება იმის გამო, რომ ეს ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული, იმ მცირე დაფინანსებით, რაც სასპორტო სკოლას გააჩნია, შეუძლებელია ახალი ჯგუფების გახსნა, ისე კი სურვილი გვაქვს ძალოსნობის ერთი ჯგუფის გახსნა, მითუმეტეს, რომ რაიონში გვყავს ამ სახეობის სპეციალისტი. მინდა აღვნიშნო, რომ მომავალი წლიდან აუცილებელია სკოლაში გაიხსნას ერთი გამაჯანსაღებელი ჯგუფი, რადგანაც ბოლო პერიოდში სკოლამდელ დაწესებულებებში და საჯარო სკოლებში არიან ბავშვები, რომლებსაც ხერხემლის გამრუდება და სხვა გადახრები აქვთ ჯანმრთელობის მხრივ. (ჩვენ ადრეც გვქონდა ასეთი ჯგუფი).

– სხვადასხვა სახის ჩემპიონატებზე მონაწილეობის მისაღებად ყველაფერი ფინანსებზეა დამოკიდებული, სპორტსმენებს კი ყოველთვის გვერდში დგომა და დახმარება სჭირდებათ. რას გვეტყოდით ამის შესახებ?

– თამამად შემიძლია აღვნიშნო, რომ ასეთი მასშტაბის წარმატებები არ გვექნებოდა, რომ გვერდში არ გვედგეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, ძველმა სპორტსმენებმა კარგად იციან სპორტის სიკეთე, ისიც კარგად იციან, რომ სპორტში ჩადებული ერთი ლარი 31-ჯერ მეტ უკუგებას იძლევა, ეს ქვეყნის, ერის სიძლიერე და სიჯანსაღეა. დღემდე ჩვენ პრობლემა არ შეგვქმნია სპორტსმენების შეჯიბრებებზე გამგზავრებასთან დაკავშირებით, ამიტომ მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ როსტომ სესიაშვილს, საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ დავით ქევხიშვილს და მათი აპარატის თანამშრომლებს იმისათვის, რომ სპორტის განვითარება რაიონში ერთ-ერთ პრიორიტეტად აქვთ აღიარებული და გვეხმარებიან მუდმივად.

– მიმდინარე წლის რა ახალ სამუშაო გეგმებზე შეუძლია ისაუბროს სასპორტო სკოლის დირექტორმა. რას გვეტყოდით ახალს, რომელიც სპორტის მოყვარულებს გაახარებდა. თუ არის ამისი შანსები?

– მიმდინარე წლის ახალ სამუშაო გეგმებზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, ერთს კი ნამდვილად: მაისში ან ივნისში ჩვენს მოსწავლეებს გვინდა ვუჩვენოთ ქართველ სახელოვან სპორტსმენებზე გადაღებული ფილმი.

ამ მიმართულებით უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები და შესათანხმებელია მხოლოდ თარიღი.

გმადლობთ, გისურვებთ კიდევ და კიდევ მრავალი წარმატების მიღწევას ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

„ანჩისხატის“ მგალობელთა გუნდის კონცერტი ყვარელში

22 აპრილს, ყვარლის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახალხო თეატრში გაიმართა თბილისის, ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის – „ანჩისხატის“ კონცერტი.(ხელმძღვანელი; დათო შუღლიაშვილი). მსგავს კონცერტებს მონატრებული მსმენელებისთვის ეს მართლაც მნიშვნელოვანი დღე იყო. შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები და საგალობლები. ასევე, კონცერტში საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ყვარლის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმაც მიიღეს მონაწილეობა., სადაც შეასრულეს ოთხი სიმღერა – „ შენ ბიჭო ანაგურელო“, „ქალო გიხდება ქამარი“, „მეტივური“ და „ზამთარი“.

კონცერტი საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებით, Check-in Georgia-ს ფარგლებში გაიმართა. ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ადმინისტრაცია და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

მათი ეგიდით, მსგავსი კონცერტები გაგრძელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, Check-in Georgia-ს ფარგლებში, 15 აპრილიდან 30 სექტემბრამდე ექვსი თბილისური ანსამბლი – „ადილეი“, „ანჩისხატი“, „დიდგორი“, „იალონი“, „ნანინა“, „შავნაბადა“ – საქართველოს 30 მუნიციპალიტეტში 5-5 კონცერტს გამართავს. ფესტივალზე თბილისურ ანსამბლებთან ერთად, კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან არსებული ადგილობრივი სალოტბარო სკოლის მოსწავლეები. რაც შეეხება თავად „ანჩისხატის“მომღერალთა გუნდს, იგი 1987 წელს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩამოყალიბდა. ანსამბლის წევრები თავდაპირველად ხალხურ სიმღერებს ასრულებდნენ და მათი მიზანი საქართველოს სხვადასხვა კუთხისათვის დამახასიათებელი საშემსრულებლო მანერის აღდგენა და ძველ ქართულ ბგერათწყობაში აჟღერება იყო. 1988 წლიდან „ანჩისხატის“ წევრებმა ანჩისხატის ტაძარში დაიწყეს გალობა. ტურიზმის ადმინისტრაციის ცნობით, სწორედ ამ მგალობელ-მომღერალთა გუნდის უდიდესი დამსახურებაა მივიწყებული ძველი ქართული გალობის აღდგენა და ქართულ საეკლესიო ღვთისმსახურებაში დამკვიდრება. ანსამბლის რეპერტუარშია როგორც სხვადასხვა სამონასტრო სკოლის ტრადიციის ქართული საგალობლები, ასევე მრავალფეროვანი ხალხური სიმღერები. ბევრი ქართული ხალხური სიმღერისა და საგალობლის „გაცოცხლება“ და პოპულარიზაცია სწორედ ანჩისხატის გუნდის სახელს უკავშირდება. ანსამბლს ხშირად აქვს საგასტროლო ტურნეები და მასტერკლასები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, გამოცემული აქვს 18 CD, საგალობლებისა და ხალხური სიმღერების არაერთი სანოტო კრებული.

„ანჩისხატის“ მიერ ყვარელში ჩატარებული კონცერტი რიგით მეორეა ამ პროგრამის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ყვარლის სალოტბარო სკოლის ანსამბლი „ხეურო „(ხელძღვანელი ირაკლი მათიკაშვილი) კვლავ ემზადება სხვადასხვა საინტერესო ფესტივალებისთვის და კონცერტებისთვის, რომელიც უახლოეს პერიოდშია დაგეგმილი. წარმატებები ვუსურვოთ მათ.

ია გიგიაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. დამფუძნებელია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“. გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86